# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


სამშაბათი, 18 ივლისი. 2017 წ. №143 (8280), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


ეს თვით ქართველი ხალხის მოთხოვნაა!

## როდემდე დარჩება ფარატინა ქაღალდად ოცნება სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონზე?!

**მიმართვა**

**საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს**
**ასლი: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს**



2017 წლის 22 ივლისს სრულდება **2 წელი,** რაც „ქართული ოცნების“ პარლამენტმა მიიღო **„საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“**. ეს იყო „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირების შესრულების ფაქტი, მაგრამ კანონის მიღებით დამთავრდა ხელისუფლების ზრუნვა სახელმწიფო ენაზე: 2 წელია, პრემიერ-მინისტრი არ ასრულებს კანონით დაკისრებულ მოვალეობას — არ ქმნის „სახელმწიფო ენის დეპარტამენს“; უამისოდ კი კანონი ფარატინა ქაღალდად რჩება!..

ბატონო პრემიერ-მინისტრო, მიუხედავად ქართული ენის გულშემატკივართა არაერთგზის დაინტერესებისა, პასუხი ვერ მივიღეთ კითხვაზე, რატომ ირღვევა კანონი... ვერ გავიგეთ, ვინ ან რა ანიჭებს კანონის დარღვევის უფლებას თუნდაც უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირს...

გარწმუნებთ, ქვეყნის ხელისუფლებისაგან ასეთი უგულისყურო დამოკიდებულება ქართული ენის მიმართ ჩვენ არ გვახსოვს! არადა, სახელმწიფო ენის მდგომარეობა ყოველდღიურად უარესდება!..

ბატონო პრემიერ-მინისტრო, იქნებ განუმარტოთ ქართული ენის გულშემატკივრებს:

**რატომ ირღვევა ასე უხეშად „საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“?**

**სახელმწიფო ენა რატომ არ იმსახურებს თქვენს ყურადღებას, რატომ არ ზრუნავთ მისი სიკეთისთვის?**

**საქართველოს პარლამენტი რატომ არ იყენებს ამ შემთხვევაში კანონის აღსრულებაზე ზედამხედველის უფლებას?**

ბოლო წელიწადნახევრის მანძილზე ეს კითხვები არაერთგზის დავსვით; არაერთ ინსტანციას მივმართეთ; არაერთხელ მოვისურვეთ თქვენთან შეხვედრა ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ უშედეგოდ... კანონის მიღებიდან 2 წლისთავზე იქნებ მოიღოთ მოწყალება და უპასუხოთ ამ კითხვებს.

პატივისცემით,

**გიორგი გოგოლაშვილი,**
**არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი**

დროზე გამოფხიზლდეთ!

## მარში, რომელიც შედგა! 3

სოციალური მარაზმი

## მაძღარს სხვაც მაძღარი ჰგონია... 4




ეკონომიკის პრობლემები

## სრული განუკითხაობა სალომბარდო ბიზნესში

6

## სატაქსო კომპანიების ახალი თავსატეხი



ჩვენი პოლიტიკოსი მანდილოსნები

5

## განსხვავებით ნაღდი(!) რუსეთუმეებისგან...

## „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა – საქართველო“

**უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრების 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით, კინოთეატრ ამირანში დოკუმენტური ფილმის — „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა — საქართველოს“ პრემიერა გაიმართა, რომელსაც ილია მეორესთან ერთად სინოდის წევრები, სასულიერო პირები, საქართველოს პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე და მთავრობის სხვა წევრები ესწრებოდნენ.**





## ახალციხეში „ოცნებელებმა“ ნაცები სცემეს

**ახალციხის სოფელ ურავლისში „ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ბეგლარ კაპანაძესთან ერთად ნაცემია მისი 23 წლის ვაჟი და 80 წლის მამა.**

**როგორც ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატმა ნიკა მელიამ განაცხადა, თავდამსხმელები „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წევრები არიან.**

**...ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ განახლებული „ნაციონალური მოძრაობა“ არავის ასეთ რამეს არ შეარჩენს, ეს ადამიანები უნდა დაისაჯონ უმკაცრესად“,** — აცხადებს ნიკა მელია.

## ხალხი რას არ იტყვის...

**— გაუფრთხილდით გულს უგულო ადამიანებისგან!**

**— გასტროენტეროლოგისკენ მიმავალი გზა კუჭზე გადის.**

**— ტორტი და კონიაკი ექიმთან მიაქვთ, მე კი მხოლოდ განავლისა და შარდის ღირსად მთვლიან, — ჩიოდა ლაბორანტი ქალი.**

**— თუკი თითოეული ჩვენგანის გულამდე რამე აღწევს, ეს ვალიდოლია.**

**— საშვილოსნოსგარეთა ორსულობა გამონაკლისია, ხოლო „მამისგარეთა“ — წესი.**

**— ნეტავი რა ოდენობის პენსიას დაინიშნავდნენ ჩვენი ჩინოვნიკები, მარჩენალი ხალხი თუ ზურგს შეაქცევდა?!.**



## მეტის მოთმენა აღარ შეიძლება!

# რეაქცია თუ პანიკა?!

## ანუ გაუმარჯოს კანონით აღიარებულ ბოზობას!

**ეს ჩვენი ტელევიზიები, უფრო სწორად, ეგრეთ წოდებული ტელეწამყვანები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო გულის გასახეთქ ინფორმაციას გადმოსცემს ან სულაც თავრეტდამსხმელ გადაცემას „გვაჩუქებს“ მაინცდამაინც ნავახშმევს, მაინცდამაინც ძილის წინ... რა არის, ან ველარ დავიძინოთ, ან თუ დავიძინეთ, უჯმაჯურ სიზმრებში გავატაროთ მთელი ღამე!**

ერთი სიტყვით, სწორება აღებულია „ცრუსთავი-2“-ზე, თუმცა უჯმაჯური თუ მაჯლაჯუნააკვიატებული გადაცემების „ხარისხით“ თვითონ პრეზიდენტყოფილი სააკაშვილის უქვეშევრდომილესი ჯულეტოვნაც ვერ მოვა გრიგოლიას ქალთან, რომელიც ამჯერად „ტვ პირველის“ ეკრანიდან ანთხევს დღეს აგრერიგად გახმაურებულ „ციანიდს“, ოღონდ სიტყვიერს, რაც არანაკლებ წამლავს გულუბრყვილო მსმენელს, თუ მაყურებელს, და ისედაც გასაწყვეტად გაწვრილებულ იმედის ძაფს კიდევ უფრო აწვნიკებს.

ძალიან ბევრის აზრით, გრიგოლიას ქალი ქართული ტელევიზიის გუშინდელი დღეა. ძალიან ბევრისავე აზრით, გრიგოლიას გადაცემას არა „რეაქცია“, არამედ „პანიკა“ უნდა ერქვას. ეს სიტყვა კი უცხო სიტყვათა ლექსიკონში განმარტებულია, როგორც უეცარი შიში, ძრწოლა, თავზარი, რომელიც შეიპყრობს ადამიანთა ჯგუფს, **ხალხს** (ან ცალკე ადამიანს); ასეთი შიშით გამოწვეული საერთო მღელვარება, არეულობა.

აი, სწორედ ეს საერთო მღელვარება და არეულობაა გრიგოლიას უთუოდ რეაქციული „რეაქციის“ მთავარი მიზანი და არა ისედაც ბევრი რამით აღელვებული **ხალხის** გაიმედიანება.

ამის სათვალმჩენო მაგალითი იყო აგერ ბოლოდროინდელი „რეაქცია-პანიკა“, რომელიც თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე ქართული ზნეობრიობის დასაცავად ბალანაშლილი ქართველობის მარშს მიეძღვნა. გრიგოლიას ქალს არც ის ეშლება, რა დონეზე გადაჯიშებული ადამიანები-პანები უნდა მიიწვიოს თავის რეაქციულ რეაქციაში. პანიკა, მოგეხსენებათ, ბერძნული მითოლოგიის პანიდან წარმოდგება, რომელიც ადამიანის სახისა და თხის ფეხების, რქებისა და წვერის მქონე იყო და შიშის ზარსა სცემდა ყველას, ვინც მყუდროებას დაურღვევდა. აქ ახლა ძირითადად უცხოეთში „ნასწავლი“ ქალ-ვაჟნი იყვნენ შეყრილნი, არცვის თხის ფეხები, რქები და წვერი უჩანდა, მაგრამ შიშის ზარს კი ნამდვილად სცემდნენ ყველას, ვინც უზნეობას შეუტია, უფრო სწორად, ვინც ავად მოიხსენია ბოზი, კახპა, როსკიპი, კალთაწამოხდილი, გავარდნილი, ქუჩის ქალი თუ ლაჯაღებული.

ევროპა-ამერიკაში სწავლამიღებულთაგან ძალიან, ძალიან ბევრი რამ ითქვა ჩვენს ქართულ საზოგადოებრივ ჩამორჩენილობაზე, მაგრამ მავანმა ელენე კვერნაძემ „დიდი გულისტკივილით“ გამოხატა „რეაქციის“ მონაწილეთა უმრავლესობის აზრი. მთელი ეს ეგრეთ წოდებული მარშები, ანუ ბოზობის წინააღმდეგ ბრძოლა, თურმე XXI საუკუნის ქართველთა გაუნათლებლობის ბრალი ყოფილა (ბოზობასაც თუ განათლება სჭირდებოდა, ეს კი ნამდვილად არ ვიცოდი!)

გაიგე, ქართველო? შენ გეუბნები, ჯერ ისევ პატიოსნებაშენარჩუნებულო, მაგრამ გაუნათლებელო, თუ გინდა, რომ თანამედროვე ცივილიზებული კაცობრიობის მწყობრში აღმოჩნდე, შენც ევროპულ-ამერიკულად უნდა განათლდე, გრიგოლიას ქალის „რეაქციაზე“ ბევრად უფრო მაღალი ტრიბუნა ნახო სადმე და იქიდან გასძახო მთელ მსოფლიოს: მე ის თამრო აღარა ვარ!

გაუმარჯოს კანონით აღიარებულ ბოზობას!

თუ არადა, დარჩები ასე გაუნათლებელი, საუკუნეს ჩამორჩენილი და ერის ზნეობრიობის ამაო დამცველი, თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული, სხვათა შემყურეობით დაბეჩავებული საქართველოს მოქალაქე!

ისე, მაინც როდემდე შეიძლება, რომ აგრერიგად ყრუმუნჯებივით და ურეაქციოდ ვითმინოთ გრიგოლიას ქალის ეს ეგრეთ წოდებული რეაქცია, ანუ პანიკიორობა?!

**გურამ წიკლაური**






## გიორგი მარგველაშვილმა თურქმენეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მიიღო

**საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი თურქმენეთის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი რაშიდ მერედოვი მიიღო.**

რაშიდ მერედოვთან შეხვედრისას მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით სავაჭრო-ეკონომიკური და ენერგეტიკული თანამშრომლობის, ლაპის ლაზურისა და ტრანსკასპიური პროექტების განვითარების, ასევე, კასპიისა და შავი ზღვის რეგიონების თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

პრეზიდენტის სასახლეში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი, უშიშროების საბჭოს მდივანი დავით რაქვიაშვილი, საერთაშორისო მდივანი თენგიზ ფხალაძე, პოლიტიკური მდივანი ფიქრია ჩიხრაძე.

## გიორგი კვირიკაშვილი აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილეს შეხვდა

**აშშ-საქართველოს შორის სავაჭრო და საინვესტიციო სფეროში ურთიერთობების გაღრმავება და ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილე დენ მულენის შეხვედრის მთავარი თემები.**

პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო და საინვესტიციო საკითხებზე მაღალი დონის დიალოგის ფორმატის არსებობას, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებით გათვალისწინებული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

შეხვედრისას ყურადღება დაეთმო სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციის მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებულ რეფორმებს, ასევე — ქვეყანაში არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს.

პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა საქართველოს, როგორც რეგიონულ სავაჭრო, სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ჰაბად გარდაქმნის პოტენციალზე და ხაზი გაუსვა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ უკვე არსებულ შეთანხმებებს ევროკავშირისა და დსთ-ს ქვეყნებთან, ასევე თურქეთსა და ჩინეთთან.

მთავრობის მეთაურმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა რეფორმების ოთხპუნქტიან გეგმაზე და დეტალურად ისაუბრა ეკონომიკურ მიმართულებაზე, კერძოდ — საგადასახადო სისტემის, საპენსიო, კაპიტალის ბაზრის, საჯარო-კერძო პარტნიორობის განვითარების რეფორმებზე, ასევე — დამწყები და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერ პროგრამებზე. საუბარი შეეხო ოთხპუნქტიანი გეგმით გათვალისწინებულ სხვა მიმართულებებსაც, რაც განათლების სისტემის, მმართველობის რეფორმასა და ქვეყნის სივრცით მოწყობას მოიცავს. აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილემ რეფორმების პროცესში საქართველოს მხარდაჭერის მზადყოფნა გამოთქვა.



## თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის

**17 ივლისს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის პირველი სხდომა გაიმართა. სხდომას კომისიის წევრები — აღმასრულებელი ხელისუფლების, საარჩევნო პროცესში ჩართული პოლიტიკური პარტიებისა და ბლოკების, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.**

კომისია იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის ბრძანებით შეიქმნა. მისი მიზანი 2017 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს საჯარო მოსამსახურეების მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია, გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირება და ამ გზით თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნაა. უწყებათაშორისმა კომისიამ პირველი რეკომენდაციები უკვე შეიმუშავა, რათა თავიდან იქნეს აცილებული საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა საჯარო მოსამსახურეების თუ ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან.

## სააკაშვილი პრეზიდენტობას არ აპირებს

**ოდესის ყოფილი გუბერნატორი და საქართველოს მესამე პრეზიდენტი უკრაინის პრეზიდენტობას არ აპირებს** — ამის შესახებ სააკაშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს. ამ განცხადებით, მან უკრაინული გამოცემა „ეკონომისტის“ სტატიზე გააკეთა კომენტარი. „ეკონომისტმა“ ინტერნეტგამოკითხვა ჩაატარა, რომლის შეკითვხა ასე იყო ფორმირებული — მისცემდით თუ არა ხმას მიხეილ სააკაშილს უკრაინის პრეზიდენტის პოსტზე? გამოკითხვაში დაახლოებით სამი ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. 50 პროცენტმა შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა.

**„რა ვქნა, არ ვუყვარვარ ამ რედაქციას. მადლობა, იმისთვის მაინც რომ შედეგები არ გააყალბეს (სხვათაშორის, პრეზიდენტობას არ ვაპირებ, ასე რომ, ეს შეკითხვა, წმინდა თეორიულია)“,** — წერს მიხეილ სააკაშვილი.

## ოპოზიციური პარტიები პრეზიდენტს აქეზებენ!

**ოპოზიციური პარტიები პრეზიდენტს ვეტოს უფლების გამოყენებას სთხოვენ. ამ შემთხვევაში საუბარია ორ კანონზე — თვითმმართველობის კოდექსში შესატან ცვლილებებზე, რომლის მიხედვითაც თვითმმართველ ქალაქთა რაოდენობა 12-დან 5-მდე მცირდება და საარჩევნო კოდექსში შესატან იმ ცვლილებაზე, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესს ცვლის.**

აღნიშნულ საკითხებზე შეხვედრა პრეზიდენტის სასახლეში გუშინ გაიმართა. შეხვედრას როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ისარგებლებს თუ არა პრეზიდენტი კანონით მინიჭებული უფლებით და იქნება თუ არა ერთდროულად ორი ვეტო — გადაწყვეტილება გიორგი მარგველაშვილმა 21 ივლისამდე უნდა მიიღოს. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ რომ საბოლოო გადაწყვეტილებას გიორგი მარგველაშვილი პოლიტიკურ ძალებთან და არასამთავრობო სექტორთან კონსულტაციების შემდეგ მიიღებს.

# დროზე გამოფხიზლდით!




# მარში, რომელიც შედგა!

ამ წერილს იმ პეტიციით დავიწყებ, რომელიც ქართული მარშის ორგანიზატორებმა შეიმუშავეს და შეძლებისდაგვარად გაავრცელეს. დავიწყებ იმიტომ, რომ საზოგადოებრიობის ძალიან დიდ ნაწილს არ ჰქონდა საშუალება, ზუსტად გაეგო ის მოთხოვნები, რაც მარშის მონაწილეებს ჰქონდათ.

**პეტიცია საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტს,**

**ჩვენ, 2017 წლის 14 ივლისს, თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე გამართული ქართული მარშის მონაწილენი:**

**ვაპროტესტებთ უცხოელი მოქალაქეებისგან ქართველ მოსახლეობაზე, მათ შორის, არასრულწლოვნებზე ძალადობისა და ქართული კულტურის ძეგლების შეურაცხყოფის მომრავლებულ ფაქტებს. ვაპროტესტებთ უცხო ეროვნების წარმომადგენლების მასობრივი და კომპაქტური დაფუძნების ფაქტებს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, რასაც შეუძლია რამდენიმე წელიწადში სრულიად შეცვალოს ეთნიკური სურათი და ქართველი საკუთარ ქვეყანაში უმცირესობაში აღმოჩნდეს. ვაპროტესტებთ და მიგვაჩნია, რომ ამ ყველაფრის მიზეზი საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და არალეგალების უკონტროლობაა.**

**ხელისუფლებისაგან მოვითხოვთ: მაქსიმალურად გამკაცრდეს უცხოელი მოქალაქის მიერ საქართველოში ბინადრობის უფლების მიღების წესი; გამკაცრდეს საქართველოს მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებული რეგულაციები და შესაბამის საკანონმდებლო მუშაობაში ჩაერთოს საზოგადოების წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული სპეციალისტების ჯგუფი.**

**მოვითხოვთ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაამკაცროს კონტროლი არალეგალებზე და დაუყოვნებლივ დაიწყოს უცხოელ მოქალაქეთა პერიოდული შემოწმებები ქუჩებში და იმ დაწესებულებებში, რომლებშიც ხორციელდება კრიმინალური საქმიანობა. მოვითხოვთ ასევე, დაუყოვნებლივ დაიწყოს ნაციონალური მოძრაობის, მათი სატელიტებისა და უცხო ქვეყნიდან დაფინანსებული ანტიეროვნული მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციების აკრძალვის სამართლებრივი პროცესი.**

**ხელისუფლებისაგან მოვითხოვთ, პეტიციის ჩაბარების მომენტიდან ერთი კვირის განმავლობაში გააკეთოს განცხადება, რომ დაიწყებს მუშაობას ყველა ზემოჩამოთვლილი მიმართულებით და ერთი თვის განმავლობაში გადადგას შესაბამისი ნაბიჯები მოთხოვნების პრაქტიკული განხორციელებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული მარშის მონაწილენი უფლებას ვიტოვებთ, გავიმეოროთ ქართული მარში უფრო რადიკალური ფორმით.**

ბევრს არ დავწერ და უბრალოდ, ვიტყვი, რომ ქართული მარშის შესახებ, ტელეეთერებში გახმიანებულმა ინფორმაციებმა (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა) და ბოლოს იმ სიმახინჯეებზე გვირგვინად დადგმულმა, გაბუნიას მიერ „რუსთავი-2"-ში გაკეთებულმა სიუჟეტმა ნათლად აჩვენა, რომ ქვეყანაში არ არსებობს დემოკრატიული, თავისუფალი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საინფორმაციო პოლიტიკა.

არ არსებობს დემოკრატიის, თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის ზუსტი ცოდნა, რაც, პირველ რიგში, იმით გამოიხატება, რომ ორი უმთავრესი ცნება — დემოკრატია და თავისუფლება აღქმულია როგორც ნებისმიერი ფორმით სახელმწიფოს არსის შერყევა და ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება ტყუილი, ინფორმაციის დამახინჯებული გადმოცემა, საკითხის სიმძაფრის ცალმხრივად დანახვა და ორმაგი სტანდარტები. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ძალიან კარგი ტექნიკური საშუალებებისა და საკმაოდ სოლიდური ფინანსების დახარჯვით კეთდება.

ბუნებრივია, რომ არ შეიძლება კონკრეტული აკრძალვების დაწესება, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან კანონისა და არსებული შესაძლებლობის ფარგლებში, აუცილებელია იმ ხალხისთვის ხელშეწყობა ვინც სხვადასხვა გადაცემებითა თუ სწორად მომზადებული მასალებით შეძლებს დღეს არსებული ანტისახელმწიფოებრივი საინფორმაციო ტალღის შეჩერებას და ბოლოს ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატიული და თავისუფალი სიტყვის გავრცელებას.

ის, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს ეს (ცხადია, არ ვლაპარაკობ ისეთ სისულელეზე, რასაც ამ ცოტა ხნის წინათ სასამართლო სისტემა აპირებდა), არის სერიოზული მსჯელობის საგანი, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს ნამდვილ სპეციალისტებთან კონსულტაციების შედეგად. ნამდვილ სპეციალისტებთან და არა იმ ხალხთან, რომლებიც შანაევთან გატარებული ღამით რატომღაც დღემდე აშინებენ არა მარტო ხელისუფლებას, არამედ საკმაოდ ბევრი კერძო სტრუქტურის ხელმძღვანელებსაც.

**ახლა რაც შეეხება შედეგს:**

1. ქართველთა მარშმა თავისი საქმე დაანონსებიდან მეორე დღესვე გააკეთა. ხელისუფლებამ ალაგმა რესპუბლიკის მოედნის ქვეშ მდებარე უკანონო დაწესებულებები. დააკავეს საკმაოდ ბევრი სამართალდამრღვევი (როგორც უცხოელი, ისე ქართველი). აღმაშენებლის გამზირზე იყო სრული წესრიგი. ის, გზავნილი რასაც ეს მარში ემსახურებოდა, ზუსტად მივიდა დანიშნულების ადგილას.

2. ფაქტობრივად, ყველა მიხვდა ე.წ. კონტრაქციის მომწყობთა რეალურ გეგმას, რომელიც ჩაუვარდათ. დიახ, მე ვიტყვი სიტყვა „კონტრაქციას", რადგანაც ქართველთა მარშის ორგანიზატორების შეთავაზება, ორი დღით გადაწეულიყო ბანერებთან გასამართი აქცია, მათ უარყვეს, რითიც ნათლად აჩვენეს, რომ საოკუპაციო ზოლთან არა რეალური საქმის, არამედ პროვოკაციის მოსაწყობად და „ენის გამოსაყოფად" იყვნენ დაპროგრამებულნი.

3. ცხადად გამოჩნდა მარშის ორგანიზატორთა სისუსტე და ე.წ. ჩემი კოლეგების დანაშაულებრივი მიდგომა საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მხრივ. მარშის ორგანიზატორებმა ვერ შეძლეს მოთხოვნების ზუსტად და სწორი ფორმით გავრცელება, რასაც ხელი შეუწყვეს ე.წ. მედიასაშუალებებმა. ფორმა დაახლოებით იყო ასეთი — ქართველები „ეგუებიან" ქართველ პედოფილებს და არ უნდათ უცხოელები. ქართველებს უნდათ, რომ ბორდელები იყოს გლდანში, ან ვარკეთილში და არა პლეხანოვზე ან რუსთაველზე. ქართველები ვერ იტანენ უცხოელ არალეგალებს და კრიმინალებს, მაგრამ თანახმანი არიან უცხოეთში იყვნენ ქართველი არალეგალები და კრიმინალები. ქართველებს არ უნდათ არც ერთი უცხოელი.

არც ისე საოცარია, რომ ამ მარშის წინააღმდეგ საკმაოდ დიდი შავი პიარი აგორდა. აგრესიული ლიბერალიზმის წარმომადგენლებმა, ზუსტად ისე როგორც კორიდის ხარი წითელი ნაჭრის აფრიალების შემდეგ და თვით ახალგაზრდა ქართველმა პოლიტიკოსმა თათია დოლიძემ, რომელიც საქართველოს გაეროს ახალგაზრდულ ორგანიზაციაში წარმოადგენს, უამრავი სისულელე დაწერეს.

**ახალგაზრდა „ქართველი პოლიტიკოსი" თათია დოლიძე ქართულ მარშთან მიმართებით წერს რომ — „დავით აღმაშენებელმა, რომლის გამზირზეც დგებით, სხვათა შორის ყივჩაღები ჩამოასახლა საქართველოში მაშინდელი საქართველოს სამხედრო ინტერესებიდან გამომდინარე. ახლანდელი საქართველოს ინტერესი კი არის ეკონომიკური განვითარება (ინვესტიციები), ევროინტეგრაცია (ადამიანის უფლებები, ტოლერანტობა, ინკლუზიურობა)".**

ამასთან დაკავშირებით ქალბატონმა „ტაბულამ" (თამარ ჩერგოლეიშვილი) ე.წ. ფეიკები, ანუ ჰაკერების დახმარებით ცრუ გვერდები შექმნა და მარშის ორგანიზატორთა სახელით ამ გოგონას მიმართ საშინელი ინფორმაციები გაუშვა სოციალურ ქსელში. რაც შეეხება „ტაბულა ბიცოლას" მეთოდებს, ამაზე შესანიშნავი პოსტი დადო ლალი მოროშკინამ, რომლის ამონარიდსაც გთავაზობთ: ზონდერ-აგენტები, დამკვეთებისგან განსხვავებით, როგორც წესი, ხელმოცარული, არშემდგარი, პროვინციული ოჯახებიდან არიან, რომელთა უღირსი საქციელი არანაირად არ „დააკნინებს" არც მათ ოჯახიშვილობას და არც წარმომავლობას. აგენტების დავალებაში შედის:

**1. ააგორონ და გაავრცელონ ჭორი დამკვეთისთვის არასასურველ ობიექტზე;**

**2. მაქსიმალური ტყუილი და მოგონილი „ექსკლუზივი" აურიონ ერთმანეთში;**

**3. აამოქმედონ შავი PR სენსიტიურ თემებზე, მაგ. შვილები, ოჯახი, პროფესიული საქმიანობა;**

**4. გამუდმებით იაქტიურონ სხვადასხვა ტროლის სახელით სოც.მედიაში, ხოლო საკუთარი მცირერიცხოვნობა მედიასივრცეში მაქსიმალურად ხმამაღალი და უხამსი გამოსვლებით დააბალანსონ;**

**5. განსაკუთრებული დევიზი — არა „ენა, მამული, სარწმუნოებას", ფსევდოლიბერალიზმი, პატრიარქის ან სხვა რელიგიური პირის ღია უარყოფა, ოჯახის სიწმინდის (ქრისტიანული გაგებით) ეჭვის ქვეშ დაყენება, ქილიკი წმინდა ადგილებთან მიმართებაში — ეკლესიების ნგრევა, ბაგრატის ტაძრის წაბილწვა, რაც აისახა „იუნესკოს" მოხსენებაში) ვაზის კულტურის გადაშენება და ღია ნარკოპროპაგანდა;**

**6. ავტორიტეტული, ცნობილი, მეომარი, გმირი, ღირსეული ადამიანების ღია დისკრედიტაციის მცდელობა — ნაცრისფერი სამყარო ადვილი სამართავია!**

**7. საკუთარი სიბრიყვის უზრდელობით და უტიფრობით აღზევება — „სულელი ვერ გაიგებს — ჭკვიანი ჩვენამდე არ დაეცემა" — პრინციპით ჯერ კიდევ საუკუნეების წინათ სხვადასხვა სექტის მაღალი იერარქიის მიმდევრები ჩვილ ბავშვებს და ფეხმძიმე ქალებს სწირავდნენ სატანისტურ რიტუალებს, რადგან ითვლებოდა, რომ ჩვილის სისხლი და ღეროვანი უჯრედი ყველაზე მეტ ენერგეტიკულ მასალას შეიცავს, და საკუთარი დაცლილი ენერგიის აღდგენა სწორედ რომ ამ გზით იყო შესაძლებელი!**

იმ სიმდაბლეს, რაც მათ იკადრეს, აქ არ მოვიყვან, რადგანაც ნათელია ე.წ. ევროპული საქართველოს მცდელობა, რომ შესანიშნავად ჩატარებული მარში, ქართველთა სიბნელისა და ძალადობის მედროშედ გამოიყვანოს, მაგრამ იმ „ინკლუზიურად განათლებულ" ახალგაზრდა პოლიტიკოსს კი ვეტყვი: **ქალბატონო ახალგაზრდა „პოლიტიკოსო", თუ თქვენ თვლით, რომ ახლანდელი საქართველოს ეკონომიკური ინტერესი თუ ბორდელების გახსნით და ევროინტეგრაცია (ადამიანების უფლებები, ტოლერანტობა, ინკლუზიურობა) არასრულწლოვნებთან გარყვნილი ქმედებით, ძალადობით, ხულიგნობით და სხვა საკანონმდებლო მუხლების მუდმივი დარღვევით გამოიხატება, მაშინ გთხოვთ, დაანებეთ პოლიტიკას თავი და ისევ ცეკვას მიხედეთ.**

რა მაგის პასუხია და „ერთ ქვას ისევ ხელისუფლების ბოსტანში" ვისვრი: ბატონო ხელისუფალნო, გასაგებია, რომ აქ ვერ ახორციელებთ ჯეროვან საკადრო პოლიტიკას, მაგრამ ეს დედააფეთქებული, მარტო ინგლისურის მცოდნეები თუ გინდათ, მიშა დააბრუნეთ „ბლიად"!

ამ ე.წ. აგრესიული ლიბერალიზმისგან გადახვევებს თავს დავანებებ (არადა ყველაზე საშიში მტერი ზუსტად ესაა) და ისევ ქართულ მარშს დავუბრუნდები:

ქართულ მარშთან დაკავშირებით ისმოდა შეძახილები, რომ მარში არა იმ ე.წ. ინვესტორების, არამედ ხელისუფლების, იმ ხალხის, ვინც თავიანთ სახლებს აქირავებს, ვინც „კრიშავს", ყოფილი ხელისუფლების, ვინც ხელი შეუწყო ამ ბაკქანალიას, ლიბერასტების და ა.შ. წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული.

პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს მარში, ვინც ჩამოვთვალე, ყველას გაფრთხილებაა. გაფრთხილება „სტუმრების", იმ პროვოკატორების, რომლებიც დარწმუნებული ვარ, ახლა სხედან და ახალ ხიმანდრობას გეგმავენ, იმ სამართალდამცავების, რომლებმაც მოსალოდნელი პროვოკაციების პრევენცია უნდა მოახდინონ. იმ ხელისუფლების, რომელმაც შესაბამისი საკანონმდებლო ზომები უნდა გაატარონ ყველა იმ შინაური თუ გარეული მტრის მიმართ, რომლებიც ფულის გულისთვის (რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს) მზად არიან, ყველანაირ საზიზღრობას მოაწერონ ხელი.

**დაბოლოს, ისევ მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას: დროზე გამოფხიზლდით. ნუ ხართ იმ ხიბლში, რომ კახი კალაძე არჩევნებს უპირობოდ მოიგებს. ეს თქვენი სიძლიერის კი არა, მოწინააღმდეგე კანდიდატების სისუტის მაჩვენებელია. ამიტომ დროზე მიხედეთ რეალურად გასაკეთებელ საქმეს, სანამ იმ მუხთარლიევებს და ათასი ჯურის საკი ხალიფებს და ბუღა თურქებს არ გადაჰყოლილხართ.**



**გია გაბრიჭიძე**

# ცესკო ითხოვს სტიპენდიას!

## მაძღარს სხვაც მაძღარი ჰგონია...

**ვერ გეტყვით, საკონსტიტუციო მარათონთან დაკავშირებული მღელვარე ბატალიები უახლეს ისტორიას რამდენად შემორჩება, მაგრამ თვით პროცესმა რომ შტურმშეყრილი ზღვასავით აიქაფა პირი, ამას ყველა ხედავს და განიცდის. ასეთ სიტუაციაში, როცა საზოგადოება მთლიანად ჩართულია კანონშემოქმედებით ორომტრიალში, როგორღაც თვალი მომჭრა სენსაციურმა ინფორმაციამ, რომელმაც ამ დღეებში ქართული პრესის ფურცლებიდან „გაიჟღერა“.**

ჰო, როგორც ახლა მოდურად მოსაუბრენი ამბობენ, „გაიჟღერა“. მაგრამ რამ „გაიჟღერა“ ან ვინ „გააჟღერა“, პატივცემულო მკითხველო, არ გაინტერესებთ? თუ ჩემმა ნათქვამმა ცნობისწადილი აღგიძრათ, ვიტყვი, მაგრამ იმ პირობით, თუ შეტყობილის გამო არ გაკვირდებით და არც განცვიფრდებით. თუმცა, კაცმა რომ თქვას, განსაცვიფრებელიც არაფერია იმაში, რაც წერილის სათაურიდანვე შეიტყვეთ: ცესკო ითხოვს სტიპენდიას!

ასეა, პატივცემულო მკითხველო, დღეს როცა ჩვენი პარლამენტარები და მინისტრები მილიონებს ეთამაშებიან, სულაც არ არის უცნაური და განსაცვიფრებელი, რომ ცესკოს ჯაფით დამაშვრალმა თანამშრომლებმა, რომლებიც სადღეღამისო ჭაპანწყვეტაში არიან (თავად ასე ჰგონიათ), სტიპენდიის სახით რაღაც გროშები მაინც მოითხოვონ. თანაც ეს ამბავი ვინმეს საჩოთიროდ და საქილიკოდ რომ არ მოეჩვენოს, ისე გააკეთონ, რომ კანონსა და სამართალს გვერდი არ აუქციონ.

აკი, ამიტომაც, კანონისა და ბიუჯეტის წინაშე პირშავად რომ არ იყვნენ და ნამუსმაც არ შეაწუხოთ (თუკი ვინმეს კიდევ შემორჩა ნამუსი), **ცესკომ ინიციატივა გამოიჩინა და პარლამენტში შეიტანა წინადადება, რომლის თანახმად, ცვლილებები უნდა შევიდეს საქართველოს კანონში „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“. კანონში ასეთი ცვლილების შემდეგ ცესკოს წევრები და აპარატის მოხელეები კომპენსაციის, ანუ სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლების მქონე სუბიექტების სტატუსს მიიღებენ.**

მორჩა და გათავდა! ვინმე ახვარმა რომ არ იყბედოს, ცესკოს არააკადემიური მოხელენი, მაღალი ხელფასებისა და პრემია-დანამატების მორგების შემდეგ, აკადემიურ სტიპენდიას რა ნამუსით მოითხოვენო, ყველაფერ ამას კანონის ძალა მიეცემა და საყბედო და საქილიკო არავის აღარაფერი დარჩება. მით უფრო საბიზნესო შემოსავლებითა და პრემია-დანამატებით მოყირჭებულ პარლამენტარებს, რომლებიც ცესკოელთა გასტიპენდიატებაზე დასტურს, ცხადია, არ დაიზარებენ.

აქვე უნდა დავაზუსტოთ. არავინ იფიქროს, ცესკოს მუშაკებს რადგან კანონი ეჭირებათ ხელში, ეგრევე მისდგებიან ბიუჯეტს და ხმაშეწყობილად გაძარცვავენ. არა ბატონებო, **კომპენსაცია, ანუ სტიპენდია დაენიშნებათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებმაც 65 წელს მიაღწიეს ან აქვთ არანაკლებ 25 წლის სამუშაო სტაჟი, საიდანაც სულ ცოტა 6 თვე ცესკოს წევრის თანამდებობაზე აქვთ ნამუშევარი.** პროექტის განმარტებით, ბარათში არაფერია ნათქვამი, რატომ უნდა გადაუხადოს მათ სახელმწიფომ კომპენსაცია. სამაგიეროდ წერია, რომ ცესკოს წევრის კომპენსაციის ოდენობა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოქმედი წევრის ხელფასის მესამედზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ამდენი განმარტების შემდეგ, პატივცემულო მკითხველო,თქვენთვის მაინც ალბათ, გაუგებარია, **რატომ უნდა უხდიდეს სახელმწიფო კომპენსაციას ცესკოს წევრებს? იმიტომ, რომ ქვეყნის მმართველი პარტიის ყურმოჭრილი ყმები არიან, თუ იმიტომ, რომ გაწეულ არაადამიანურ მძიმე შრომასთან შეფარდებით, არაადეკვატურად მცირე ანაზღაურებას იღებენ? ან იქნებ იმიტომ, რომ ტყვიით მოწამლულ გარემოში უწევთ მოღვაწეობა?**

არც ერთია და არც მეორეო, გვპასუხობენ მიუკერძოებელი ექსპერტები. მათი განმარტებით, ცესკოს წევრობა სხვა უამრავ მიზეზთან ერთად, ბევრისთვის იმიტომაც არის სასურველი, რომ ის საკმაოდ მაღალანაზღაურებადია. თუმცა




და განა მარტო ეს? საერთოდაც გაუგებარია, ისეთ ღატაკ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობის ზღვარზეა, მარეგულირებელ კომისიებში, ეროვნულ ბანკში, ცესკოში, სახელმწიფო საპარტნიორო ფონდში, რიგ სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავეთა ხელფასი 150-ჯერ რატომ უნდა აღემატებოდეს პენსიონერის თუ სხვა სოციალურად დაუცველ ადამიანთა შემოსავალს?

უმისოდაც ყველაფერი ცხადზე უცხადესია: **ცესკოს თავმჯდომარის ხელფასი თვეში 5500 ლარია, მოადგილის — 4700 ლარი, კომისიის მდივნის — 4 600 ლარი. რაც შეეხება კომისიის წევრებს, ისინი ყოველთვიურად 3900 ლარს იღებენ. არჩევნების პერიოდში მათი ანაზღაურება ორმაგდება. ეს გაორმაგებული თანხა ბოლო არჩევნებისას მთელი ოთხი თვის განმავლობაში გაიცემოდა.** ამას ემატება ცესკოს წევრების საკომუნიკაციო ხარჯების უზრუნველყოფაც, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ზოგმა შეიძლება იფიქროს, ესენი პრემია-დანამატებს თუ არ იღებენ, პარლამენტარებთან და ჩინოვნიკობასთან შედარებით, მაინც უწყინარ კრავებად გამოიყურებიანო. მაგრამ ვინ მოგახსენათ, რომ არ იღებენ? იღებენ კი არა, შეიძლება ითქვას, ფულს კაი ბლომადაც ხვეტავენ. ამის დასტურად გამოდგება თავად **ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანია, რომელმაც შარშან პრემია-დანამატებიანად 197 308 ლარი ხელის აუკანკალებლად ჩაიჯიბა.**

და ეს ყველაფერი ხდება, პატივცემულო მკითხველო, ევრო-ამერიკული რეფორმებითა და მაღალი დემოკრატიით მადლცხებულ იმ ქვეყანაში, რომელშიც გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით, ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხოლო შიმშილით მიხრწნილი პენსიონერი 180 ლარზეა ჩამოკიდებული, სადაც სახალხო დამცველი ღირსებას დიდი ენთუზიაზმით უფრთხილდება, გაჭირვებული ხალხის პრობლემებს კი თვალს უხუჭავს.

ამის შემყურეს, არც თუ უსაფუძვლოდ, გებადება ხელისუფლებისგან დღემდე პასუხგაუცემელი კითხვა: პარლამენტარების, მსხვილ-მსხვილი ჩინოვნიკების, ცესკოელებისგან განსხვავებით, მეცნიერებმა, პედაგოგებმა, ჟურნალისტებმა, სხვა პროფესიების მქონე ადამიანებმა რით ვერ დაიმსახურეს მაღალი ხელფასები, პრემია-დანამატები და კომპენსაცია-სტიპენდიებიც კი (ცესკოს შემთხვევაში) იმისათვის, რომ იშრომონ და იცხოვრონ ადამიანურად და სიბერეში გარანტირებულად. ნაძირალა სააკაშვილზე სულმიყიდულმა ჟურნალისტებმა კი გაწირეს ქვეყანა და ზნეობა დასაქცევად, მაგრამ გაუგებარია, რა დააშავეს იმ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა, რომლებიც ნაცბანდელებმა გამომცემლობა „სამშობლოდან“ ქუჩაში გამოყარეს და, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გაწირეს. იმათგან ბევრმა უკვე შეწყვიტა არსებობა, ხოლო, ვინც გადარჩა, ფინანსურ კოლაფსში ჩავარდა. ერთი იმათგანია მდიდარი ისტორიისა და ტრადიციების მქონე „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელიც კერძო ბინის ორ მოწრუტულ ოთახშია შეყუჟული და უსახსრობისგან სულს ღაფავს. აღარაფერს ვამბობ თავად ჟურნალისტებზე, რომლებიც თვეობით უხელფასოდ იღვწიან და გაზეთს სიცოცხლეს უნარჩუნებენ. ამ უამურ ყოფაში გაუგებარია ქვეყნის დიდი ქველმოქმედის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოზიცია, რომელსაც ნაცებისგან იავარქმნილი გამოცემების გადასარჩენად დღემდე ნაბიჯიც არ გადაუდგამს.

და განა მარტო ეს? საერთოდაც გაუგებარია, ისეთ ღატაკ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობის ზღვარზეა, მარეგულირებელ კომისიებში, ეროვნულ ბანკში, ცესკოში, სახელმწიფო საპარტნიორო ფონდში, რიგ სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავეთა ხელფასი 150-ჯერ რატომ უნდა აღემატებოდეს პენსიონერის თუ სხვა სოციალურად დაუცველ ადამიანთა შემოსავალს? ეს ხომ სოციალური მარაზმია, სიმდიდრეს დახარბებულ ჩინოვნიკთა და პარლამენტართა მხრიდან უზნეობის ტოლფასია და საზოგადოების მხრიდან სამართლიან გულისწყრომას იწვევს. მაღალდემოკრატიულ და მაღალზნეობრივ ქვეყანაში, რომლის პრეტენზიასაც საქართველო აცხადებს, არავის აქვს უფლება თავად მაძღარი იყოს, თუ მის გვერდით ერთი მშიერი მაინც სულდგმულობს. ცუდია, ძალიან ცუდი, როცა მაძღარს სხვაც მაძღარი ჰგონია და მშიერის ვარამ-წუხილისა არაფერი ესმის.



**ოთარ ხუციშვილი**

## NDI-ის წარმომადგენლები საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით არასამთავრობოებს ხვდებიან

**NDI-ის წინასაარჩევნო მონიტორინგის მისიის წარმომადგენლები საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით არასამთავრობოებს ხვდებიან.**




დელეგაციის წევრებმა გუშინ შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან და საქართველოს პრეზიდენტთან გამართეს, დღეს კი დაგეგმილია შეხვედრები პოლიტიკურ პარტიებთან.

17-21 ივლისის პერიოდში, დელეგაცია არჩევნებისთვის სამზადისს, საარჩევნო პროცესის ძირითადი სუბიექტების პოლიტიკურ აქტივობებსა და ზოგადად საარჩევნო გარემოს შეაფასებს.

21 ივლისს, NDI-ის დელეგაცია წინასაარჩევნო გარემოს შეფასების ძირითად დასკვნებსა და რეკომენდაციებს პრესკონფერენციაზე გამოაქვეყნებს.

## სემეკმა გაზის ტრანსპორტირების ფასის გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო

**სემეკმა კომისიის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა კომპანიისთვის ტრანსპორტირების ტარიფი ერთ კუბურ მეტრზე 1,884 თეთრი იქნება.**




„საქართველო გაზის ტრანსპორტირების“ კომპანიამ ტარიფის გადახედვის მოთხოვნით, სემეკს 2017 წლის დასაწყისში მიმართა და გადახედვის მოტივი ქსელის მოწესრიგებისთვის განხორციელებული ინვესტიციებია.

სამომხმარებლო ტარიფში გაზის ტრანსპორტირების წილი 1000 კბ.მ-ზე 13,5 პროცენტია. გაიზრდება თუ არა ტრანსპორტირების ტარიფი იმ მოცულობით, რომ სამომხმარებლო ტარიფზე გავლენა მოახდინოს, ცოტა ხანში გაირკვევა. დღეს კი კომისია რამდენიმეთვიანი მსჯელობის შემდეგ მოსახლეობისთვის ახალ სამომხმარებლო ტარიფს გამოაცხადებს. ახალი ტარიფი 20 ივლისიდან ამოქმედდება.

## „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში მხოლოდ „მოამბე“ გავა

**საზოგადოებრივ მაუწყებელზე დღეიდან საინფორმაციოს გარდა, ყველა სხვა გადაცემა ჩერდება. ერთდროულად 42 გადაცემა იხურება. რამდენი ხანი გაგრძელდება მსგავსი ვითარება და შეძლებს თუ არა ახალი პროგრამები ეთერში გასვლას ახალი სეზონიდან ან კონკრეტულად როდის გაიხსნება სეზონი, ჯერჯერობით უცნობია.**



საკითხებზე გუშინ სამეურვეო საბჭოს სამუშაო სხდომაზე იმსჯელეს. ამ დროისთვის ბორდს კონკურსის წესით უკვე შერჩეული აქვს 9 გადაცემა. ყველა მათგანი სოციალურ და კულტურულ თემატიკას ეხება, არც ერთია პოლიტიკური. შერჩევის პროცესში გაჩენილ კითხვის ნიშნებზე საუბრობენ ბორდის კრიტიკულად განწყობილი წევრები.

# განსხვავებით ნაღდი(!) რუსეთუმეებისგან...



**ქართველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სცენაზე ერთ-ერთი თვალსაჩინო „მოთამაშეა“ ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, გამორჩეული განათლებით, გამოცდილებით, გონიერებით, წონასწორობით, ტაქტით, დახვეწილობით...**

ყოველივე ეს ციდან არ „ჩამოფრენილა“, მრავალწლიანმა პოლიტიკურმა საქმიანობამ მოიტანა. ეს პერიოდი აღსავსე იყო წინსვლა-გამარჯვებებით, ზენიტში ყოფნით და უკუსვლა-დამარცხებებით, უმწვავესი, მტკივნეული „ღრენა-კბენა-ბწკენებით“, ზოგჯერ, სამწუხაროდ, მართლაც, დამსახურებული (რამეთუ პოლიტიკაში შეუცდომელი „ფრთიანი ანგელოზი“ ვერ და არ იქნები), შემდგომ ჭკუისსასწავლებელი ფაქტებისა გამო, უფრო მეტად კი ტენდენციური, გამიზნული, დაუნდობელი დარტყმებით.

ასე იცის პოლიტიკამ. მით უმეტეს, თუ მასში ყოფნა შენი არჩევანია: ვალდებული ხარ და უნდა კიდეც აიტანო, მოითმინო და არ გაბოროტდე, შურისძიების გრძნობა არ დაგეუფლოს, შენში არ გაბატონდეს სამაგიეროს გადახდის დაუოკებელი სურვილი. ჩვენი ისტორია, განსაკუთრებით უახლესი, მდიდარია ამ მოსაზრების საპირისპირო ფაქტებით, რომლებმაც გაამდიდრეს ქართული პოლიტიკური ემიგრაცია უცხოეთში. **ამ მხრივ, ბურჯანაძემ შესაშური ლოიალობა გამოიჩინა და გადაეფარა არაერთს, რომელთა გათელვა-დასამარების სურვილი „ვარდების რევოლუციონერების“ ზოგიერთ შიზოიდს, დღესაც არ განელებია.**

ნინოს სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ „პოლიტბარიკადების“ ორივე მხარეს ყოფნის სიმძიმეს გაუძლო — ზოგიერთებივით არც „თავში ავარდნია“ და არც „მიწაზე ფორთხიალი“ და თავსაფრის „ღეჭვა“ დაუწყია. დარჩა იმ ნინოდ, რაც იყო: ძლიერად, ნებისყოფიანად, ემოციების დამთრგუნველად, პრინციპულად და შეუპოვრად.

ამ თვისებებმა, პლუს — შრომისმოყვარეობამ, მოუტანეს, ჩემი აზრით — მართებულად, „რკინის ქართველი ლედის“ სახელი და მავანთა ვერავითარი ქილიკი მას ვერ შებღალავს. ღიმილისმომგვრელი კი ის ნაღდი ფაქტია, რომ ამ „მავანთა“ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან „პრინციპულობით და უღალატობით“ საქვეყნოდ ცნობილი მისი ყოფილი „პოლიტპარტნიორები“ ან მათი ისტერიულად და უტიფრად მკივან-მჩხავანა „ცოლები“, „საყვარლები“ თუ სხვა მოშურნე მდედრები. ესეც კლასიკაა!

შესაძლოა, არ მოგწონდეს ბურჯანაძე (ასეთი ცოტა როდია), არ იზიარებდე მის პლატფორმას (არც აქ იგრძნობა ხალვათობა), აპროტესტებდე მის ტაქტიკას (უწინარესად, სავარაუდოდ, ურაპატრიოტული მოსაზრებებით), კრიტიკულად აღიქვამდე, მისი პოლიტიკური წარსულის ზოგიერთი ფურცელი თუ ნაბიჯი იწვევდეს აღტაცებას (ასეთებიც არ არიან ერთეულები), ზოგჯერ მამის რაიკომის მდივნობასაც უწუნებდე, მისი არცთუ ხშირი(!!!) სატელევიზიო გამოსვლების ტონალობა და შეფასებებიც გაღიზიანებდეს (არც თუ უსაფუძვლოდ, მაგრამ რა ვუყოთ აუარებელ დაინტერესებულ და ყურადღებით მსმენელ აუდიტორიას?), მაგრამ ობიექტურობა არასოდეს არ უნდა დაკარგო: იყო აქტიურ პოლიტიკაში თითქმის 30 წელი, იყო არაერთგზის დეპუტატი, იმ პარტიის დამფუძნებელი და მისი უცვლელი ლიდერი, რომლისგანაც არავინ „გარბის“ კრიზისის თუ „წარუმატებლობის“ შემთხვევაში, არაერთგზის ასრულებდე მარტო შენი ქვეყნის კი არა, ევროკავშირის უმაღლეს თანამდებობრივ ფუნქციებსაც, ანგარიშს გიწევდნენ, გენდობოდნენ დასავლეთშიც და აღმოსავლეთშის, მით უმეტეს ჩრდილოეთში, ეს ჰარიჰარად დიახაც არ ხდება. და ეს, მარტივად რომ ვთქვათ, იმიტომ, რომ მის სიტყვას ფასი(!) აქვს, ის მიცემული სიტყვის ერთგულია, „ღრუბელ-ღრუბელ არ დაფრინავს და არ ემალება“ მოწინააღმდეგეს, ყოველთვის მზად არის და ირჩევს პირისპირ დიალოგს, აქვს არგუმენტები, ლოგიკა და ზურგს უმაგრებს რწმენა და ძალა, რომელიც გამოიხატება ორი სიტყვით: საქართველოს ინტერესები! დიახ, კარგად გათვლილი და რეალობიდან გამომდინარე ინტერესები და არა... გულუბრყვილო ემოციები, გულზე „ხელის ბრაგუნი“ და უსაფუძვლო ილუზიები, იმის თაობაზე, რომ შენი ქვეყნის გულისთვის ვინმე მსოფლიო „ომს“ გააჩაღებს!

და, აქედან გამომდინარე, ყოველგვარი ღია თუ ფარული მინიშნებები მის გეოპოლიტიკურ ორიენტაციაზე, წინათაც და ახლაც, არის უაპელაციო ლაყბობა გაუთვითცნობიერებელ ადამიანთა მხრიდან, ოსტატურად გამოწვეული და წარმართული პოლიტმოწინააღმდეგეთა ბანაკიდან, რომელსაც აქვს შეუზღუდავი საშუალება და დიდი პრაქტიკა ე.წ. „შავი პიარის“ მეშვეობით თეთრის ნებისმიერ ფერად „გასაღებისა“ (ან, პირიქით). **განსხვავებით ნაღდი(!) რუსეთუმეებისაგან, რომლებმაც ღიად თუ ფარულად მთელი ჩვენი „სტრატეგიული ეკონომიკა“ პუტინ-ჩუბაისსეჩინის სტრუქტურებს „გადააბარეს“ (რა თქმა უნდა, „უანგაროდ“) და კონკრეტული ფაქტებიდან, პრაქტიკიდან გამომდინარე, ძნელია, ვინმემ დამარწმუნოს იმაში, რომ რუსეთუმეა ქალბატონი ნინო, ან მისი ოჯახი და თანამოაზრეთა საახლობლო. ცილისმწამებლებისთვის და ნებსით თუ უნებლიეთ დეზორიენტირებული მოხალისე-კრიტიკოსებისთვის მწარედ გასაგონი სიმართლე მას მიუხლია პირში არაერთგზის, ხმამაღლა, ხაზგასმულად, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე: ვერ, ვერ ეღირსებით!!!**

...და თუ საგნებს თავის სახელს დავარქმევთ, უფრო უპრიანი იქნებოდა, ნინო ბურჯანაძისთვის გვეწოდებინა გამორჩეული ქართველი პოლიტიკოსი, რომელსაც გამოცდილება, გონიერება და ვაჟკაცობა უკარნახებს, საქართველოს დღევანდელობა და მისი მომავალი განიხილოს და შეაფასოს ერთადერთი სწორი მიდგომით — პრაგმატულად,მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე მსოფლიოსა და უშუალოდ ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური სივრცის რეალობების გათვალისწინებით. ვიმეორებ: ქვეყნის ბედ-იღბლის გადაწყვეტისას საჭირო ასეთ მიდგომას სჭირდება არა მარტო ფართო პოლიტიკური ხედვა(!) და სახელმწიფოებრივი აზროვნება(!), არამედ სამშობლოს გულწრფელი სიყვარული, დიდი, პირადი სიმამაცე, თანმიმდევრულობა და პრინციპულობა. რამდენად მისაღებ-ასატანია ეს გზა საქართველოს პოლიტელიტისთვის, დაადასტურა გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ დღემდე განვითარებულმა მოვლენებმა, რომლებმაც მემკვიდრეობად დაუტოვეს შემდგომ თაობებს გაპარტახებული ქვეყანა — დანგრეული ეკონომიკით, ბოლო ჭანჭიკამდე თურქეთში ჯართად გაზიდული ფაბრიკა-ქარხნებით, ლომაია-შაშკინის „რეფორმებით“ მორღვეული მეცნიერება-განათლების სისტემით, დანაწევრებულ-დაკარგული ტერიტორიებით, გამწვავებული კუთხურობით და იარაღით დაპირისპირებული, სხვადასხვა შეურაცხმყოფელი იარლიყებმიკერებული თაობებით და ფენებით, დაცემული ზნეობით, უყურადღებოდ მიტოვებული მშობლიური ენითა და დაბეჩავებული კულტურით.

ამ ფონზე ეგებ არ ღირდეს ერთი ნიშანდობლივი ფაქტის გახსენება, მაგრამ, მაინც, ზოგიერთი, „სმენა-მხედველობადაქვეითებული“ მოქილიკის გასაგონად: თუ ვინმეს ჰგონია, რომ 35-40-გრადუსიან მოსკოვურ ყინვაში ჩასაცმელი დათბუნებული „ჩექმის“ საყიდელი თანხა ბურჯანაძეს გაუჭირდებოდა, ნამეტნავად ბრიყვი ყოფილა. მაგრამ რუსეთის თავფეხიანად თბილად შეფუთული ელიტის გვერდით უაღრესად დახვეწილი და უზადოდ (არასაზამთროდ) ჩაცმული ქართველი ქალბატონი ამაყად, თავაწეულად და ღირსეულად წარმოადგენდა არა მარტო თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ოპოზიციას, არამედ ჩემი სამშობლოს იმ მანდილოსან პოლიტიკოსებს, ვინც პოლიტბატალიების მიუხედავად, ყოველთვის უნდა რჩებოდნენ, უბრალოდ და ჩვეულებრივ... ქალებად!



**ნუგზარ ფოფხაძე**

# ძირძველი სამურზაყანოელები უცხოებთან გაათანაბრეს

**ოკუპირებული ქალაქ გალის მილიციაში დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს ბინადრობის მოწმობების მისაღებად საბუთების ჩაბარება. აფხაზეთში — მეტწილად კი გალის რაიონში — მცხოვრები ქართველების უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ დე ფაქტო მთავრობამ მათ მოთხოვნას, კვლავ დაეშვათ პასპორტის შემცვლელი დოკუმენტი, ფორმა ნომერი ცხრა, უარით უპასუხა. სწორედ ამ დოკუმენტით სარგებლობდნენ ე.წ. აფხაზური და რუსული პასპორტების არმქონენი წლების განმავლობაში საოკუპაციო ხაზის გადასაკვეთად.**

გალის ადმინისტრაციაში მოსახლეობას განუმარტეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტზე ვადა ორი თვით გაუხანგრძლივდებათ მხოლოდ იმ პირებს, ვინც ბინადრობის მოწმობის მისაღებად საბუთებს ჩააბარებს. ორი თვის შემდეგ კი, თუ დააკმაყოფილეს დაწესებული კრიტერიუმი ჩაბარებული საბუთების გადამოწმებისას, მოქალაქე მიიღებს ბინადრობის მოწმობას, რომლის მოქმედების ვადა 5 წელია.

**„77 წლის ქალი ვარ. ჩემი ბაბუიდან, პაპიდან ყველა ადგილობრივია, აფხაზეთიდან არის. როგორ მაძლევ შენ „ვიდ ნა ჟიტელსტვოს“, რის საფუძველზე? საიდან მოვედით, რომელი ემიგრანტი ჩვენ ვართ. იცით, რა თქვეს რუსებმა? — შეგვიძლია ერთი-ორჯერ გაგიშვათ, მაგრამ შეგვიძლია, უკან სულ არ შემოგიშვათო. ჭიანჭველას უფრო მეტ პატივს სცემენ, ვიდრე აქ ქართველებს“,** — უთხრა რადიო „თავისუფლებას“ ოკუპირებულ ნაბაკევში მცხოვრებმა ქალმა, რომელსაც ვინაობის დასახელება არ სურს.

დაზუსტებით არც რადიო „თავისუფლების“ მიერ ენგურის ხიდზე გამოკითხულმა რესპონდენტებმა იციან, თუ რა უფლებებით ისარგებლებს ბინადრობის მოწმობის მფლობელი. მგზავრების თქმით, ამ ეტაპზე ენგურის ხიდზე გადაადგილდებიან რუსული და ე.წ. აფხაზური პასპორტის მფლობელები. ისინი, ვის ფორმა ნომერ ცხრასაც ვადა ამოეწურა, ზუგდიდში ჩამოსვლას ვერ ახერხებენ:

## რატომ არ სურთ გალელებს ბინადრობის მოწმობის აღება?

**„მე პასპორტი მაქვს და მაგით გადმოვედი“;**

**„ახლა რომ იძლევიან აფხაზები, ის პასპორტი არ ვარგა, მაგით ვერ გადახვალ, რუსები არ გაგიშვებენ“;**

**„საბუთები უნდა ჩავაბაროთ და ორ თვეში გვეტყვიან პასუხს, მივიღებთ თუ არა ბინადრობის მოწმობას“;**

— უთხრეს რადიო „თავისუფლებას“ მგზავრებმა ენგურის ხიდზე.

ბინადრობის მოწმობების გაცემისა და საბუთების მიღების პროცესი აფხაზურმა ტელევიზიებმა გააშუქეს. „გალ ტევე“ და „აფსუა“ იუწყებიან, რომ გალის მილიციის შენობაში, სადაც დოკუმენტები ბარდება, მოქალაქეთა დიდი რიგებია და იგრძნობა დაძაბულობა. ჟურნალისტებთან საუბარში გალის დე ფაქტო საპასპორტო-სავიზო განყოფილების უფროსი ედუარდ მანარგია ირწმუნება, რომ მოქალაქეების შიში უსაფუძვლოა:

**„ბინადრობის მოწმობა იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტია. ის იძლევა აფხაზეთში გადაადგილების და მის საზღვრებს გარეთ — საქართველოს რესპუბლიკაში — გადაადგილების საშუალებას, რაც მათ (გალელებს) ძალიან აწუხებთ. ბინადრობის მოწმობის ნიმუშები უკვე გადაეცათ მესაზღვრეებს და ის ჭორები, რომ თითქოს ამით არ შეიძლება გადასვლა, უბრალოდ, მოგონილია“.**




როგორც დე ფაქტო რესპუბლიკის საპასპორტო-სავიზო განყოფილებაში განმარტავენ, იმისთვის, რომ მოქალაქემ მიიღოს ბინადრობის მოწმობა, უნდა ფიქსირდებოდეს აფხაზეთში მცხოვრებად 1995 წლიდან, გალის მილიციაში უნდა დატოვოს თავისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და საცხოვრებლის შესახებ ცნობა. ქართულ ენაზე გაწერილი დოკუმენტები უნდა იყოს თარგმნილი რუსულად და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ. საბუთებს თან უნდა ერთვოდეს ორი ფოტოსურათი და 940 რუბლის (37 ლარის) გადახდის ქვითარი.

**თამარ ზანთარაია**

# სრული განუკითხაობა სალომბარდო ბიზნესში

## საკითხი, რომელიც სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს!

**ბოლო პერიოდში, ლომბარდით მოსარგებლე პირები ე.წ. კრედიტოფიცრებისგან ან ლომბარდის წარმომადგენლებისგან ხშირად ზარალდებიან. პრობლემაა როგორც ნივთის შეფასება, ასევე ამა თუ იმ ტექნიკის ყოველგვარი დოკუმენტაციის (ყუთის) გარეშე ჩაბარება. ჯერჯერობით სალომბარდო ბიზნესი თვითდინებაზეა მიშვებული და არანაირი კანონი, არც ერთი სახელმწიფო სამსახური მის რეგულაციას არ ახორციელებს.**

ამ დროს ლომბარდით მოსარგებლე პირების ან თავდებში მდგომი ადამიანების უფლებები ირღვევა. ლომბარდის ტიპის დაწესებულებებში მომხამერებლთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, იურიდიულ კომპანიებში ყოველდღიურად ათეულობით შეტყობინება შედის.

იურისტ **ანა გორდეზიანის** ინფორმაციით, ისეთი შემთხვევების დროს, როცა ლომბარდით მოსარგებლე ადამიანები ან თავდებში მდგომი პირები თანხის დაფარვას ვერ ახერხებენ, ე.წ. კრედიტოფიცრები ხშირად კანონდარღვევით მოქმედებენ და მომხმარებლის გაფრთხილების გარეშე, ნივთის რეალიზაციას ახდენენ.

„სამოქალაქო კოდექსის 282-ე მუხლის თანახმად, კრედიტორი ვალდებულია, გირავნობის საგნის რეალიზაციის თაობაზე ორი კვირით ადრე წერილობით ფორმით გააფრთხილოს დამგირავებელი და სხვა მოგირავნეები. კრედიტორს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლება, არ გაუგზავნოს მოვალეს შეტყობინება, თუ პროდუქტი მალფუჭებადია ან თუ დაყოვნების შედეგად, შეიძლება საბაზრო ღირებულება შემცირდეს. თუმცა, პრაქტიკაში, როგორც წესი, ნივთის დაუყოვნებლივი რეალიზაციის აუცილებლობის შემთხვევები ძალიან მცირეა.

**უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ზემოაღნიშნული მუხლით, კანონმდებელი გარკვეულწილად, იცავს მოვალის ინტერესებს და კრედიტორს ავალდებულებს, ნივთის რეალიზაციამდე დამგირავებელს დამატებით განუსაზღვროს ორკვირიანი ვადა ვალდებულების შესასრულებლად, რათა მოვალემ შეძლოს ფულადი ვალდებულების შესრულება. ბუნებრივია, იმ შემთხვევაში, როდესაც ეს პირობები ირღვევა, მოქალაქეს, არაინფორმირებულობის გამო, უმძიმდება მდგომარეობა და ხდება მისი ნივთის რეალიზაცია“,** — აღნიშნა გორდეზიანმა.




გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ლომბარდები ტექნიკას ისევ საბუთის გარეშე იბარებენ. ეს კი მოზარდებს შორის დაპირისპირებისა და მობილური ტელეფონების გახშირებული ქურდობის მიზეზი ხდება. ხალხი ლომბარდების მკაცრად გაკონტროლებას ითხოვს. თავად საფინანსო დაწესებულებები კი ბრალდებას უარყოფენ და აცხადებენ, რომ მსგავსი პრობლემით მათთვის არავის მიუმართავს და მხოლოდ რამდენიმე ადამიანს ამოძრავებს მათი დისკრედიტაციის სურვილი.

პრობლემად ითვლება ნივთის შეფასების კრიტერიუმებიც, რომელიც ხშირად, ექსპერტის შეფასების გარეშე ლომბარდის წარმომადგენელთა მიერ ფასდება.

**„იშვიათად თუ შეხვდებით ლომბარდებს, რომელიც ნივთის შეფასებას ახორციელებენ ექსპერტის (სპეციალისტის) მეშვეობით. როგორც წესი, კრედიტორები პირადი შეხედულებით ახდენენ ნივთის, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების შეფასებასა და ღირებულების დადგენას. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მანქანის რეალური საბაზრო ღირებულება გაცილებით აღემატება ხელშეკრულებაში მითითებულ თანხას. აღნიშნულს განაპირობებს კრედიტორის იმპერატიული მოთხოვნა, რაც საბოლოოდ, აზარალებს დამგირავებელს, თუმცა მას არ გააჩნია ალტერნატივა, იმდენად, რამდენადაც ხელშეკრულების პირობებზე პრეტენზიის გაცხადების შემთხვევაში, კრედიტორი უარს იტყვის სესხის გაცემაზე“,** — აცხადებს იურისტი.

უნდა აღინიშნოს, რომ სალომბარდე ბიზნესი ამოვარდნილია ყოველგვარი სივრციდან. ერთადერთი მარეგულირებელი არის სამოქალაქო კოდექსის ის ნაწილი, სადაც საუბარია მსესხებელსა და კრედიტორს შორის ურთიერთობაზე. სხვა არანაირი მექანიზმი არ არსებობს. კანონი რომ აუცილებლად მისაღებია, ამას ლაპარაკი არ უნდა, მაგრამ პროცესი მუდმივად ჭიანურდება. ეს არის საკითხი, რომელიც სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს.

**ბექა დანელია**

# სატაქსო კომპანიების ახალი თავსატეხი

**თბილისში სატაქსო ბიზნესის გაკონტროლებას რუსული და ამერიკული გიგანტი ერთობლივად შეეცდებიან. რუსული ტაქსის კომპანია „იანდექსმა“ და ამერიკულმა „უბერმა“ შეთანხმებას მიაღწიეს რუსეთსა და ხუთ მეზობელ ქვეყანაში თავიანთი ბიზნესების შერწყმის თაობაზე. ამ არეალში მოიაზრება საქართველოც, სადაც რუსული გადამზიდავი უკვე დიდი წარმატებით მუშაობს.**

ერთობლივ განცხადებაში „იანდექსმა“ და „უბერმა“ განაცხადეს, რომ ისინი რუსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საქართველოში და ყაზახეთში ახალ კომპანიას ქმნიან, რომელიც 127 ქალაქში იმოქმედებს. გარიგება მხარეებს შორის 2017 წლის მეოთხე კვარტლის ბოლოს გაფორმდება.

ორი კომპანიის ბიზნესი კომპანია NEWCO-თი იქნება წარმოდგენილი. ახალი კომპანიაში ასევე გაერთიანდება „უბერის“ საჭმლის მიტანის სერვისი „უბერითი“, რომელიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყანაზე გავრცელდება. კომპანიის 59,3% „იანდექსის“ კუთვნილება იქნება, 36,6% — „უბერის“, ხოლო 4,1% — კომპანიის თანამშრომლების.

სან-ფრანცისკოში მდებარე „უბერი“ 225 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას გეგმავს, რუსული კომპანია „იანდექსი“ კი — 100 მილიონი აშშ დოლარის.

„იანდექსის“ ქართველი წარმომადგენლის **თეიმურაზ ხმელიძისთვის** უცნობია, როდიდან გამოჩნდება ორი უდიდესი კომპანიის თანამშრომლობით შექმნილი კომპანია საქართველოში. ჯერჯერობით დეტალები დაზუსტებული არ არის.

ამ ნაბიჯის შემდეგ საქართველოში მოქმედი ადგილობრივი სატაქსო კომპანიები კიდევ უფრო დიდი დილემის წინაშე აღმოჩნდებიან. მარტო „იანდექსის“ შემოსვლამ ბევრი მათგანი გააკოტრა და საქმიანობას ჩამოაშორა და 2 გიგანტის ბაზარზე ერთობლივად გაბატონებას რა შედეგებიც მოჰყვება, ძნელი გამოსაცნობი არ არის.

მიუხედავად ამისა, კონკურენციის სააგენტოში სატრანსპორტო სფეროში პრობლემებს ვერ ამჩნევენ და არც აპირებენ სატაქსო ბიზნესი შეისწავლონ. სააგენტოს ხელმძღვანელის **ნოდარ ხადურის** ინფორმაციით, უწყება ამჟამად სხვადასხვა კვლევით არის დაკავებული და „იანდექსის“ წინააღმდეგ საჩივარს საკუთარი ინიციატივით არ იკვლევს.




„ჩვენ ამ ეტაპზე საკმაოდ ბევრი მიმდინარე პროექტი გვაქვს. მე პირადად მქონდა შეხვედრა ტაქსების კომპანიის წარმომადგენლებთან ჩემი ამ სამსახურში დანიშვნიდან რამდენიმე დღის შემდეგ. ვთხოვეთ, მოეტანათ დაზუსტებული ინფორმაცია. სამწუხაროდ, ჩვენ ეს ინფორმაცია ვერ მივიღეთ.

**რაც შეეხება ჩვენი ინიციატივით შესწავლას, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე მიმდინარე პროექტებისგან გამოთავისუფლებული რესურსის შემთხვევაში, თუ არ იქნება სხვა საჩივრები, გაცილებით მნიშვნელოვან ბაზრებზე უნდა ვიფიქროთ. ერთი რამ აღსანიშნავია, რომ ბაზარზე შემოვიდა არა მხოლოდ „იანდექსი“, არამედ რამდენიმე სხვა კომპანია, რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, პირველ რიგში, რომ ბაზარზე მომხმარებლის უფლებები იყოს მაქსიმალურად დაცული“,** — განუცხადა „საქმის კურსს“ ნოდარ ხადურმა.

საკუთრივ რუსულ კომპანიაში კი აცხადებენ, რომ მგზავრობაზე დაბალი ტარიფი, რომელმაც ადგილობრივი გადამზიდავები გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა, დროებითი მარკეტინგული აქცია იყო. თეიმურაზ ხმელიძე ამბობს, რომ დღეს მგზავრობის ტარიფი საბაზრო ფასებს შეესაბამება. შესაბამისად, „იანდექსი“ არ იღებს ქართული კომპანიების პრეტენზიებს მის მიმართ და აცხადებს, რომ ისინი არაეფექტურად მუშაობენ.

„იანდესი“ მუშაობს უფრო ეფექტურად, ვიდრე სხვა კომპანიები. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ ვიყენებთ უახლეს ტექნოლოგიებს. ეს იძლევა საშუალებას, რომ მძღოლებმა თავიანთი მარგი ქმედების კოეფიციენტი გაზარდონ. „იანდექსის“ მძღოლები როგორც კი ასრულებენ შეკვეთას, მაშინვე იღებენ ახალს მაშინ, როდესაც სხვა კომპანიის მძღოლები დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ მგზავრის გარეშე. შესაბამისად, მათ აქვთ მაღალი ხარჯები საწვავზე და მანქანის ცვეთაზე, რომლის ამოღებაც უწევთ შემდგომი რამდენიმე მგზავრიდან. „იანდექსს“ კი არ აქვს დაბალი ფასები, უბრალოდ, მათ აქვთ მაღალი ფასი“, — აცხადებს ხმელიძე.

**დავით ბექაური**

## ბათუმში, კახაბრის დასახლებაში სანიაღვრე არხებს აწესრიგებენ

**ბათუმში, კახაბრის დასახლებაში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 8 ქუჩის სანიაღვრე არხის მოწყობა.**



სამუშაოები განხორციელდება შემდეგ მისამართებზე: ბათუმგორის ქუჩა, ზედაღელის ქუჩა №2, №14, ზედაღლის მეორე შესახვევი, ურეხის დასხალება №25-დან №56-ის ჩათვლით, თოდოგაურის ქუჩა №29-დან №82-ის ჩათვლით.

სამუშაოები ასევე განხორციელდება მდინარე მეჯინისწყლის დასახლებაში. კახაბრის დასახლებაში სანიაღვრე არხის კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარე წლის აპრილის თვეში დაიწყო და დეკემბრის თვეში დასრულდება.

პროექტის ღირებულება 1 მილიონ 541 ათას ლარს შეადგენს. სამუშაოებს შპს „არნაბი“ ასრულებს.

## ახალი სპორტული კომპლექსი ბათუმში

**სასტუმრო „რედისონში“ ლეონიძის ქუჩაზე ასაშენებელი სპორტული კომპლექსის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. მშენებლობის ტენდერი მიმდინარე კვირაში გამოცხადდება.**



პროექტის მნიშვნელობაზე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა რამაზ ბოლქვაძემ ისაუბრა.

3400 მაყურებელზე გათვლილი სპორტული კომპლექსი დაახლოებით 23 000 კვ.მეტრ ტერიტორიაზე მოეწყობა და იქ სხვადასხვა სპორტული სახეობების სექცია განთავსდება: სპორტული ტანვარჯიშისა და მხატვრული ტანვარჯიშის დარბაზი; ბ/რ ჭიდაობის დარბაზი; თავისუფალი ჭიდაობის დარბაზი; სპორტული ცეკვების დარბაზი; ჭადრაკის დარბაზი; ტაეკვონდოს დარბაზი; ქართული საბრძოლო ხელოვნების დარბაზი; უნივერსალური ტრანსფორმირებადი დარბაზი; კრივის დარბაზი. თანამედროვე სტანდარტების სპორტულ კომპლექსში გასახდელები, საპირფარეშოები, დამხმარე და საინვენტარო სათავსოები მოეწყობა. შენობას ასევე ღია ავტოსადგომი ექნება. კომპლექსი ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის.

პროექტი სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე ასევე სასტუმროს მშენებლობას ითვალისწინებს. 138-ადგილიან სასტუმროში 42 ადამიანზე გათვლილი საკონფერენციო დარბაზი განთავსდება. კომპლექსის მშენებლობა 2018 წელს დასრულდება.

სპორტული კომპლექსის პროექტის მთლიანი ღირებულება 71 800 000 ლარია. შენობის პროექტირების თანხა 420 000 ლარს შეადგენს. კომპლექსის მშენებლობა 2018 წელს დასრულდება.

**ჩვენი პირველი საუბარი გაიმართა კრემლში, 2 დეკემბერს, საღამოს. ლიფტმა საფრანგეთის დელეგაცია მიიყვანა გრძელი დერეფნის შესასვლელთან, რომლის გასწვრივაც იდგა მრავალრიცხოვანი დაცვა. დერეფნის ბოლოს იყო დიდი ოთახი, რომელშიც იდგა მაგიდა და რამდენიმე სკამი. მოლოტოვმა შეგვიყვანა მასში, და აქ გამოჩნდა მარშალი. ჩვეულებრივი მისალმებების შემდეგ ყველა შემოუსხდა მაგიდას. სტალინი, ლაპარაკობდა თუ დუმდა, თვალებდახრილი, სულ რაღაც კარაკულებს ხაზავდა. ჩვენ უმალვე დავიწყეთ საუბარი გერმანიის მომავლის შესახებ. დამსწრეთაგან არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ რაიხი მალე დაეცემა მოკავშირეთა არმიების დარტყმით: სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ დარტყმებიდან ყველაზე მძიმე დარტყმები რუსებმა მიაყენეს“.**

პირველი შეხვედრა მთავრდება სტალინის წინადადებით — დაიდოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება. სანამ მინისტრები მოამზადებენ შეთანხმებას, იწყება არაფორმალური ურთიერთობა. მეორე დღეს სტუმრების პატივსაცემად მოლოტოვი მართავს საუზმეს.

**„დესერტის დროს მან (სტალინმა — ნ.ს.) აიღო ბოკალი და წარმთქვა ჩვენი მომავალი შეთანხმების სადღეგრძელო. „საკითხი შეეხება, — წამოიძახა მან, — ნამდვილ ალიანსს და არა ისეთს, როგორიცაა ლავალისა!“ (სტალინს მხედველობაში ჰქონდა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1935 წლის შეთანხება, რომელიც კვლავ ქაღალდზე დარჩა — ნ.ს.). ჩვენ ორმა დიდხანს ვისაუბრეთ. ჩემს მილოცვაზე რუსეთის არმიის წარმატებებთან დაკავშირებით, რომლის ჯარებმაც ტოლბუხინის მეთაურობით ახლახან წაიწია წინ უნგრეთის ტერიტორიის სიღრმეში, მან წინააღმდეგობა გამიწია: „ეს სულ რამდენიმე ქალაქია! ჩვენ გვინდა ბერლინი და ვენა“. დროდადრო ის, მეჩვენებოდა, დუნდებოდა, ხუმრობდა კიდეც. „თითქოსდა, ძნელია, — ამბობდა ის, — მართო ისეთი ქვეყანა, როგორიც საფრანგეთია, სადაც მთელი ხალხი ასეთი შეშფოთებულია!“ — „დიახ, — ვუპასუხე მე. — და ეს რომ გავაკეთო, არ შემიძლია არ ავიღო მაგალითი თქვენგან, თქვენ ხომ შეუდარებელი ბრძანდებით“.**

ამ შეხვედრის დროს სტალინმა გამოავლინა იუმორის თავისი გრძნობა. საფრანგეთის მთავრობამ ნება დართო დაბრუნებულიყო პარიზში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი მორის ტორეზი.

„ნუ გეწყინებათ ჩემი არათავმდაბლობა, — ეუბნება დე გოლს სტალინი, — მე მხოლოდ თავს მივცემ ნებას გითხრათ, რომ ვიცნობ ტორეზს, და ჩემი აზრით, ის კარგი ფრანგია. თქვენ ადგილზე მე მას ციხეში არ ჩავსვამდი. და შემდეგ კი ღიმილით უმატებს: „უკიდურეს შემთხვევაში არა ახლავე!“ მაგრამ თუ ორი პოლიტიკოსი გულთბილად საუბრობს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათ ყველაფერზე მოილაპარაკეს. პოლონეთის საკითხში დე გოლს არ სურს ერთმნიშვნელოვნად დადგეს მოსკოვის მხარეზე. და ამით თავის მემუარებში გვაძლევს საშუალებას მოვისმინოთ სტალინის პირდაპირი სიტყვა. მეტად სასარგებლო იქნებოდა, რომ პოლონეთის თანამედროვე პოლიტიკოსებს გაეგონათ და გაეხსენებინათ, თუ ვისი წყალობით მოიპოვა პოლონეთმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თავისი ამჟამინდელი საზღვრები.

**„როდესაც სიტყვა აიღო, მარშალი სტალინი გაცხარდა. მის სიტყვაში, მქუხარეში, შემნდობში, მრავლისმეტყველში იგრძნობოდა, რომ „პოლონეთის საკითხი“ ცენტრალური იყო მის პოლიტიკაში და რომ მას იგი გულთან ახლოს მიჰქონდა. მან განაცხადა, რომ რუსეთმა მკვეთრად შეცვალა თავისი დამოკიდებულება პოლონეთისადმი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო მისი მტერი და რომელშიც ამიერიდან მას სურს იხილოს მეგობარი, მაგრამ ამისთვის აუცილებელი იყო შეესრულებინა ზოგიერთი პირობა. „პოლონეთი, — თქვა მან, — ყოველთვის იყო გერმანელების დერეფანი რუსეთზე თავდასხმისათვის. ეს დერეფანი უნდა დაიკეტოს და იგი უნდა გადაკეტოს თავად პოლონეთმა. ამ მიზნების მიღწევისათვის მდინარეებზე ოდერსა და ნაირზე საზღვრების გადატანა შეიძლებოდა გამხდარიყო გადამწყვეტი, ამ მომენტიდან პოლონეთის სახელმწიფო ხდებოდა ძლიერი და „თვითკრიტიკული“. ვინაიდან, როგორც მარშალმა განაცხადა, „სახელმწიფო არ შეიძლება იყოს ძლიერი, თუ არ იქნება დემოკრატიული“.**

სტალინს არ სურს დათმობა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების დადების ერთ-ერთ სავალდებულო პირობად აყენებს ფრანგების მიერ პოლონეთის პრორუსული მთავრობის წინასწარ აღიარებას. მაგრამ გენერალი დე გოლი მაინც უარს ამბობს აღიაროს ლუბლიანის კომიტეტი ოფიციალური მთავრობის სახით და იქონიოს მასთან ურთიერთობა. მოლაპარაკების ატმოსფერო იძაბება. და ამ მომენტში... ამ დღის განმავლობაში, რომელიც მიძღვნილი იყო დიპლომატიური ფარიკაობისადმი, იყო ერთი ამაღელვებელი საათი, როდესაც გავეცანი პოლკ „ნორმანდია-ნემანის“ მფრინავებს. შარლ დე გოლი მზად იყო წასულიყო პოლკის დისლოკაციის ადგილზე, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საჭირო. სტალინმა გასცა ბრძანება, ჩამოეყვანათ მოსკოვში მატარებლით პოლკის მთელი პირადი შემადგენლობა. ეს იყო ლამაზი და კეთილშობილი ჟესტი და შარლ დე გოლმა შეძლო მოეწყო დათვალიერება პირდაპირ ადგილზე:




**„... მე შევძელი მივსალმებოდი ამ შესანიშნავ პოლკს — დასავლეთის ერთადერთ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც იბრძოდნენ რუსეთის ფრონტზე, — და გამეცნო თითოეული მათგანი, ასე მამაცურად რომ იბრძოდნენ გამარჯვებისთვის. ვისარგებლე მათი პირადი დასწრებით, რათა დამეჯილდოებინა ბევრი ამ პოლკიდან, აგრეთვე რუსი გენერლები და ოფიცრები, რომლებიც ჩამოვიდნენ ფრონტიდან ამ შემთხვევისთვის“.**

დე გოლის საუბარი მოსკოვში ყოფნის შესახებ მთავრდება ბანკეტის სცენით, რომელიც გაიმართა კრემლში საფრანგეთის დელეგაციის პატივსაცემად:

**„ორმოცი რუსი — სახალხო კომისრები, დიპლომატები, გენერლები, მაღალი რანგის ჩინოვნიკები, — ყველანი ბრწყინვალე სამხედრო ფორმაში, შეიკრიბნენ კრემლის სასახლეში, სადაც შემოვიდა საფრანგეთის დელეგაციაც. ესწრებოდნენ აგრეთვე შეერთებული შტატების ელჩი და ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებული. ავიარეთ მონუმენტური კიბე, რომლის გასწვრივაც ეკიდა იგივე სურათები, რომლებიც მეფის დროს. მათზე გამოსახული იყო შიშის მომგვრელი სიუჟეტები: ბრძოლა ირტიშზე, ივანე მრისხანე, რომელიც კლავს თავის შვილს, და ა.შ. მარშალმა ყველას ჩამოართვა ხელი და მიაცილა სტუმრები სასადილო დარბაზში. მაგიდა გხიბლავდა წარმოუდგენელი სიუხვით, შემოიტანეს გასაოცარი სადილი.**


შარლ დე გოლი

**სტალინი და მე ვისხედით ერთი-მეორის გვერდით და დროდადრო ვსაუბრობდით... ჩვენი საუბარი შეეხებოდა საბრძოლო მოქმედებებს იმ დროისათვის, ცხოვრებას, ჩვენ ორივე რომ გავდიოდით ჩვენი ვალდებულებების შესრულების დროს, მტრების ან მოკავშირეების ჩვენს შეფასებას. ხელშეკრულებაზე არაფერს ვამბობდით. თუმცა მარშალი გულგრილი ტონით შემეკითხა, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე ადამიანებმა ლიუბლიანის კომიტეტიდან, რაზეც მე ვუპასუხე, რომ ისინი მე მომეჩვენნენ მოქმედ ორგანიზაციად, მაგრამ არავითარ შემთხვევაში თავისუფალი პოლონეთის იმედებისა და მოლოდინის გამომხატველად. სტალინი აწარმოებდა პირდაპირ და მარტივ საუბრებს. ის ცდილობდა, მოეჩვენებინა თავი უბრალო ადამიანად კულტურის ჩანასახებით, მსჯელობის ურთულეს პრობლემებზე წარმოთქვამდა განზრახ პრიმიტიულ მოსაზრებებს. ის ყველაფერს ჭამდა და ბევრს ისხამდა ბოკალში ყირიმულ ღვინოს, მისთვის მოჰქონდათ სულ ახალი და ახალი ბოთლები. გულკეთილობის ნიღბის მიღმა სტალინში მოსჩანდა დაუნდობელი მებრძოლი. სხვათა შორის, რუსები, რომლებიც მაგიდას უსხდნენ, იყვნენ დაძაბულები და ყურადღებით ადევნებდნენ მას თვალს. მათი მხრიდან სტალინთან დამოკიდებულებაში იკითხებოდა აშკარა მორჩილება და შიშიც...“**

შემდეგ სტალინმა დაიწყო სადღეგრძელოების წარმოთქმა. თავდაპირველად მან წარმოთქვა „თბილი სიტყვები საფრანგეთის შესახებ და სიყვარულით აღსავსე“ დე გოლის მისამართით. შემდეგ სსრ კავშირის მეთაური მიესალმა შეერთებულ შტატებს და პრეზიდენტ რუზველტს, შემდეგ ინგლისსა და ბატონ ჩერჩილს. ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საპასუხო სადღეგრძელოების შემდეგ სტალინმა გამოთქვა პატივისცემა საფრანგეთის დელეგაციისადმი, იქ მყოფი ყველა ფრანგისადმი, საფრანგეთის არმიისადმი, პოლკ „ნორმანდია-ნემანისადმი“.

შემდეგ სტალინმა დაიწყო თავისიანების დღეგრძელობა, მაგრამ როგორი ტაქტით და იუმორით აკეთებდა ის ამას! დიდი მადლობა გენერალ დე გოლს, რომელმაც ლამაზად აღწერა ეს სცენა თავის მემუარებში:

**„ოცდაათჯერ წამოდგა სტალინი ფეხზე, რომ დაელია იქ მყოფი რუსების სადღეგრძელო. ყოველთვის ის ერთ-ერთი მათგანის სადღეგრძელოს სვამდა. მოლოტოვი, ბერია, ბულგანინი, ვოროშილოვი, მიქოიანი, კაგანოვიჩი და ა.შ. სახალხო კომისრები იყვნენ პირველები, ვისაც მიმართა მარშალმა, რომელსაც აქ ბატონს ეძახდნენ. შემდეგ ის გადავიდა გენერლებზე და ჩინოვნიკებზე. როდესაც თითოეულ მათგანზე ლაპარაკობდა, სტალინი პათოსით მიუთითებდა მათს დამსახურებასა და თანამდებობაზე. თანაც ის მუდმივად საუბრობდა რუსეთის დიდებაზე. მაგალითად, ის არტილერიის სარდალზე ამბობდა: „ვორონოვი! შენ გადღეგრძელებ! შენ ხომ პასუხისმგებელი ხარ საარტილერიო დანადგარების გაშლაზე ბრძოლის ველზე. ამ დანადგარების წყალობით ჩვენ ვანადგურებდით მტერს წინ და უკან ფრონტის მთელ ხაზზე. შენ იცი! გაბედულად იარე შენი ქვემეხებით!“ როდესაც მიმართავდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის შტაბის უფროსს, მან თქვა: „ადმირალი კუზნეცოვი! ყველამ როდი იცის, თუ რა შეუძლია ჩვენს ფლოტს. მოითმინე! ერთხელაც იქნება, დავიპყრობთ ყველა ზღვას!“ ავიაკონსტრუქტორ იაკოვლევთან დაკავშირებით, ვინაც დაამუშავა შესანიშნავი გამანადგურებელი „იაკი“, მან თქვა: „მოგესალმები! შენი თვითმფრინავები ვარცხნიან ცას. მაგრამ ჩვენ გვინდა მეტი თვითმფრინავი და უკეთესები! შენ მათი შექმნა შეგიძლია!“ სტალინი ზოგჯერ ქებას დამუქრებასაც უხამებდა. მან დაიწყო საუბარი ნოვიკოვზე, სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსზე: „შენ საქმეში იყენებ ჩვენს თვითმფრინავებს. თუ შენ მათ ცუდად გამოიყენებ, ხომ იცი, რაც გელოდება!“ როდესაც თითით ერთ-ერთ თავის თანაშემწეზე მიუთითებდა, მან თქვა: „აი, ის: ზურგის უფროსი, მისი ამოცანაა ჩამოიყვანოს ფრონტზე ადამიანები და ტექნიკა. იზრუნოს, როგორც საჭიროა! თუ არა — ჩამოვახრჩობთ, როგორც ეს ჩვენს ქვეყანაშია მიღებული“.**

და, მართალია, დე გოლმა უარი თქვა გააკეთოს ის, რაც სსრ კავშირის ხელმძღვანელობას სჭირდებოდა, ბანკეტის ატმოსფეროზე ეს არ აისახება. სტალინი კეთილია, ის ხუმრობს და გულღიად ესაუბრება საფრანგეთის ხელმძღვანელს: „ოჰ, ეს დიპლომატები, — ამბობს ის, — ასეთი მოლაყბეები! რომ აიძულო ისინი გაჩუმდნენ, არის მხოლოდ ერთი საშუალება: დახვრიტო ისინი ტყვიამფრქვევებით. ბულგანინ! მოიტანე ერთი!“

ფილმის ერთობლივი ნახვის შემდეგ შარლ დე გოლი უკვე დაემშვიდობა სტალინს და წავიდა, როდესაც საბჭოთა დელეგაცია დათანხმდა, შეეცვალა თავისი პირობები. სტალინი დათმობაზე წავიდა. საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას მაინც მოეწერა ხელი მეორე დღეს პოლონეთთან დაკავშირებით ფრანგების ნეიტრალური ტექსტის ხელმოწერის სანაცვლოდ. შარლ დე გოლი არ დათანხმდა საბჭოთა დიპლომატიისა და პირადად სტალინის ზემოქმედებას, და სწორედ ამან გამოიწვია იოსებ ბესარიონის ძის პატივისცემა.

„სტალინმა შესანიშნავი თამაში გვიჩვენა. მშვიდი ხმით მან მე კომპლიმენტი გამიკეთა: „კარგად გეჭირათ თავი. ღმერთმა გაგიმარჯოთ! მიყვარს მქონდეს საქმე ადამიანთან, რომელმაც იცის, თუ რა უნდა, დაე, თუნდაც მისი შეხედულებები არ ეთანხმებოდეს ჩემსას“.

* * *

„დამშვიდობება გადმოიღვარა, როგორც ეს სტალინს უყვარდა, გულწრფელობაში. „გქონდეთ ჩემი იმედი“, — განაცხადა მან. „თუ თქვენ ან საფრანგეთს ჩვენი დახმარება დაგჭირდებათ, გაგიყოფთ ყველაფერს პურის უკანასკნელ ლუკმამდე“. მოულოდნელად, როდესაც გვერდით რუსი თარჯიმანი პოდზეროვი დაინახა, ვინაც ესწრებოდა ყველა მოლაპარაკებას და თარგმნიდა ყველა სიტყვას, მარშალმა მკვეთრად უთხრა მას მწუხარე სახით: „შენ ძალიან ბევრი რამ იცი! ძალიან მინდა შენი ციმბირში გაგზავნა“. მე გამოვედი ოთახიდან ჩემს თანამშრომლებთან ერთად. ზღურბლზე როდესაც მოვბრუნდი, დავინახე სტალინი, რომელიც მარტო იჯდა მაგიდასთან“.

თარგმნა

**ზურაბ ლომიძემ**

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112, 114-115, 117, 121-125, 131, 133, 135-139, 140-142**

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ავთანდილ ტოგონიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ავთანდილ ტოგონიძე (პ/ნ 53001004140), წყალტუბო, სოფელი ტყაჩირი.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წყალტუბო, სოფელი ტყაჩირი (საკადასტრო კოდი: 29.17.34.363).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 7087.90 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 17 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 2 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP45717617;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 457176

6. **მოვალე:** ავთანდილ ტოგონიძე (პ/ნ 53001004140), წყალტუბო, სოფელი ტყაჩირი;
თინათინ მესხი (პ/ნ 60001135494), ქუთაისი, ნიკეას 44ა, ბინა 61;
რომან გაგოშიძე (პ/ნ 53001049346), წყალტუბო, სოფელი ტყაჩირი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP45717617; ლოტის ნომერი: 457176).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 2 აგვისტოს, 14:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

---

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს გალაქტიონ გეგუჩაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გალაქტიონ გეგუჩაძე (პ/ნ 37001013362), სამტრედია, მ. კოსტავას ქ. №92, ბინა №1.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
სამტრედია, კონსტიტუციის ქ. №1, პირველი სართული, ბინა №44 (საკადასტრო კოდი: 34.08.59.039.01.044).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 5233.02 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 17 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 2 აგვისტო, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP45717817;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 457178

6. **მოვალე:** გალაქტიონ გეგუჩაძე (პ/ნ 37001013362), სამტრედია, მ. კოსტავას ქ. №92, ბინა №1.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP45717817; ლოტის ნომერი: 457178).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 2 აგვისტოს, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

---

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ავთანდილ ნემსაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ავთანდილ ნემსაძე (პ/ნ 33001031911), ოზურგეთი, სოფელი მთისპირი.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ოზურგეთი, გრიბოედოვის №27, სართული 5, ბინა №15 (საკადასტრო კოდი: 26.26.48.069.01.015).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16014.9 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 17 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 2 აგვისტო, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP45725217;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 457252

6. **მოვალე:** ავთანდილ ნემსაძე (პ/ნ 33001031911), ოზურგეთი, სოფელი მთისპირი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP45725217; ლოტის ნომერი: 457252).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 2 აგვისტოს, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

---

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ზაზა მარგველაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზაზა მარგველაშვილი (პ/ნ 60001108113), ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. №17ა, ბინა №30.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. №17ა, ბინა №30 (საკადასტრო კოდი: 03.01.03.166.01.030).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10486.18 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 17 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 2 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP45725317;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 457253

6. **მოვალე:** ზაზა მარგველაშვილი (პ/ნ 60001108113), ქუთაისი, ირ.აბაშიძის გამზ. 17ა, ბინა №30;
მაია მაჭავარიანი (პ/ნ 60001138721), ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. №17ა, ბინა №30;
იასონ მარგველაშვილი (პ/ნ 53001046599), წყალტუბო, სოფელი ოფშკვითი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP45725317; ლოტის ნომერი: 457253).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 2 აგვისტოს, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

ქალი და მამაკაცი

# გონების თამაშები



**ბოლო ხანებში ქალებისა და მამაკაცების თანასწორუფლებიანობაზე იმდენი ლაპარაკია, ცოტა არ იყოს, მოსაბეზრებელი გახდა. თქმა არ უნდა: არც საზოგადოებაში, არც ოჯახში არავინ არ უნდა იჩაგრებოდეს, რადგან ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა — სქესის, კანის ფერის, აღმსარებლობისა და ა.შ. მიუხედავად, კონსტიტუციითაა გარანტირებული. არადა, ქალები და მამაკაცები განსხვავებულად რომ ფუნქციონირებენ, ეს ბოლო მეცნიერული გამოკვლევითაც დადასტურდა. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ გენდერულ „საქმის გარჩევებს“ — ვინ უკეთესია და ჭკვიანი — დასასრული არ უჩანს.**

კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევარებმა „მომუშავე“ თავის ტვინის სკანირება ჩაატარეს და გაარკვიეს, რომ გარეშე ინფორმაციას ქალები და მამაკაცები სრულიად განსხვავებულად ამუშავებენ და აანალიზებენ. აღმოჩნდა, რომ **ლოგიკურ ანალიზსა და ინფორმაციის დამუშავებაზე პასუხისმგებელ ქალა-ტვინის უბნებში მამაკაცებს უფრო მეტი რუხი ნივთიერება აქვთ, ქალებს — თეთრი.**

რუხი ნივთიერება — ესაა სწორედ იმ ელემენტების ნერვული უჯრედების სხეულები, რომლებიც გარედან მიღებული ცნობების დამუშავებაზეა პასუხისმგებელი. თეთრი ნივთიერება კი — გამტართა როლის შემსრულებელთა ნეირონების წანაზარდებია.

მამაკაცებში აზროვნების პროცესზე, პირველ ყოვლისა, ზეგავლენას ახდენენ საგარეო გამღიზიანებლები, ამიტომაც მათი გადაწყვეტილებები უფრო ლოგიკურია და აწონილ-დაწონილი. ხოლო თუ ამოცანას ქალი წყვეტს, იგი ტვინის ქერქის იმ ნაწილით „ფიქრობს“, რომელშიც მეტყველების, მოძრაობის კონტროლისა და ემოციების ცენტრებია განთავსებული. **აი, ზუსტად ესაა საქვეყნოდ განთქმული ქალური ლოგიკა, რომელიც მყარადაა დაფუძნებული გრძნობებსა და ჟესტებზე.**

რა მოსდის მამაკაცს, როცა, ვთქვათ, მელოდრამას უყურებს? იგი მაშინვე ხედავს სიუჟეტურ უაზრობებს, დასცინის მის გმირებსა და გულწრფელად ვერ იგებს, თუ რა ატირებს ცხარე ცრემლით მის გვერდით მჯდომ ქალს, რომელიც მას უგულობისთვის საყვედურობს.

**სამაგიეროდ, ქალებს უფრო კარგი მეხსიერება ახასიათებთ — მათ ჰიპოკამპი უკეთ აქვთ განვითარებული — ესაა ქალა-ტვინის საფეთქლის ფუძეში საგანგებო ხვეული.** ჰიპოკამპს ინფორმაცია ოპერატიულიდან მუდმივ მეხსიერებაში გადაჰყავს. თუკი თავის ტვინის ეს უბანი ცუდად მუშაობს, ადამიანს ვერაფერს ვასწავლით — იგი ყველაფერს უმალ დაივიწყებს. ამიტომაცაა, რომ **ქალების სწავლება მამაკაცებზე უფრო ადვილია, სკოლაში კი გოგონებს ბიჭებზე გაცილებით ცოტა პრობლემა აქვთ.**

მოამზადა
**დალი ხუნდაძემ**

ჩვენი კარაბადინი

# „ღიპუცობიდან“ ტანკენარობამდე

**ყოველდღიური მოძრაობის ნაკლებობა, კალორიული საკვები, არარეგულარული კვება — ამ და მრავალი სხვა გარემოების შედეგი ისაა, რომ მამაკაცებიც და ქალებიც, ზედმეტ წონას, ხშირად „ღიპიანობასაც“ უჩივიან.**

საიმისოდ, რომ ტანკენარი გახდეთ, საჭიროა ნაკლები საკვები მიიღოთ და მეტი იმოძრაოთ, მაგრამ ეს, როგორც პრაქტიკა მოწმობს, სულაც არ არის ადვილად გასაკეთებელი. მით უმეტეს მაშინ, როცა 40 წელს გადაცილებული ხართ, სპორტისთვის ნაკლები დრო გრჩებათ, სამსახურს, ოჯახს, ათასი ყოფითი პრობლემის გადაჭრას კი სულ უფრო მეტი დრო მიაქვს. ამიტომაცაა, რომ გარკვეულ ასაკში ჭარბი წონის პრობლემას განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება.



მეტ-ნაკლებად სწორი კვება და მეტი მოძრაობა, რაღა თქმა უნდა, ჭარბი წონის დაგდების კარგი ხერხებია, მაგრამ არსებობს სხვა გზებიც. კერძოდ:

● **ნაკლები სტრესი და მეტი ძილი.** დამტკიცებულია, რომ უფრო ფართო წელის მქონე ქალები სტრესებზე მეტად რეაგირებენ, ანუ მათი ორგანიზმი სტრესის მეტ ჰორმონს გამოიმუშავებს, რომლებიც ნივთიერებათა ცვლას არღვევენ და სისხლის შემადგენლობაზე მოქმედებენ. ამიტომ, ნერვების დაწყნარების საუკეთესო ხერხია ძილი, რომლის ხანგრძლივობა დღე-ღამეში 8-9 საათი უნდა იყოს.

● **დაარეგულირეთ ჰორმონალური ბალანსი.** საამისოდ ურიგო არ იქნება, თუკი ენდოკრინოლოგს მიმართავთ. შეამოწმეთ ფარისებრი ჯირკვალი და სქესობრივი ჰორმონები.

● **უარი თქვით მაღალკალორიულ საკვებზე.** ასევე შეამცირეთ ულუფები, მაგრამ ვარჯიშით თავს ნუ გადაიღლით, ვინაიდან ენერგიის დიდი ოდენობით დახარჯვას მადაზე მოსვლა მოჰყვება. უმჯობესია, სეირნობის რეჟიმში იმოძრაოთ!

● **აუცილებლად იკვებეთ დანაწევრებულად.** დღის მანძილზე ეცადეთ ხუთ-ექვსჯერ ჭამოთ, ოღონდ პატარ-პატარა ულუფებით.

● **მიირთვით მეტი ცილა და უჯროვანა.** დანაყრების შეგრძნებას ისინი უფრო მეტი ხნის მანძილზე შეგინარჩუნებენ. იდეალური მენიუ უნდა შეიცავდეს ცილოვან სურსათს (თევზს, კვერცხს, უცხიმო ხორცს ან რძეს), ასევე ბოსტნეულს ან ხილს.

● **ნუ გამოტოვებთ საუზმეს!** ისინი, ვინც დილაობით არ საუზმობენ, დაკლებულ კალორიებს, ჩვეულებრივ, ვახშამზე ინაზღაურებენ, რაც მეტად არასასურველია.

● **უარი თქვით ტკბილ სასმელებზე.** მათი სიჭარბე შაქრის დიაბეტს იწვევს.

● **უარი თქვით ალკოჰოლზე.** ნებისმიერი ალკოჰოლი ხელს უშლის ორგანიზმს ცხიმის დაწვაში.

**ნინო ალექსანდრია**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მარიამ ქებაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარიამ ქებაძე (პ/ნ 47001035685), ქუთაისი, მ. ბალანჩივაძის 2/4.
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქუთაისი, მ. ბალანჩივაძის 2-4, სართული 2 (საკადასტრო კოდი: 03.06.03.278.01.515).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გარდამავალი პირველი რიგის იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 20035.97 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 17 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 2 აგვისტო, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP45725417;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 457254
6. **მოვალე:** მარიამ ქებაძე (პ/ნ 47001035685), ქუთაისი, მ. ბალანჩივაძის 2/4;
გუგუ ქაჯაია (პ/ნ 37001017111), სამტრედია, სოფელი ღანირი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP45725417; ლოტის ნომერი: 457254).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 2 აგვისტოს, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

# თბილისში ახალი მუნიციპალური ავტობაზა გაიხსნა

**1963 წლის შემდეგ პირველად, თბილისში თანამედროვე და მასშტაბური მუნიციპალური ავტობაზა აშენდა. ახალი ავტოპარკი დღეს თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გახსნა. დღეიდან მუნიციპალურ ავტობუსებს სამი ავტობაზა მოემსახურება.**

6 ჰა ტერიტორიაზე განთავსებული ბაზა შემდეგ ობიექტებს მოიცავს:

ადმინისტრაციული შენობა, პანორამული ხიდი და გამშვები პუნქტი, სერვისცენტრები, საწვავგასამართი სადგურები, სამრეცხაოები და სხვა დამხმარე ნაგებობები. ბაზა უახლესი ინფრასტრუქტურითაა აღჭურვილი, რაც ყველა სტანდარტის დაცვით უზრუნველყოფს მუნიციპალური ტრანსპორტის გამართულ, უსაფრთხო და შეუფერხებელ მუშაობას.

**ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტობუსების მომსახურებისათვის ავტობაზის ტერიტორიაზე იტალიური ფირმა — SAFE-ის გაზგასამართი სადგური განთავსდა, რომელიც MAN-ის ავტობუსების დატუმბვას 4 წუთში უზრუნველყოფს.**

გარდა ამისა, ახალი ავტობაზის სამრეცხაოში დამონტაჟდა ერთ-ერთი წამყვანი გერმანული ფირმის, Washtec-ის მიერ წარმოებული სამრეცხაო დანადგარები, რომლებიც რეცირკულაციის სისტემებითაა აღჭურვილი და წყლის 70%-მდე ეკონომიას იძლევა. 12-მეტრიანი ახალი ავტობუსები 5-7 წუთში გაირეცხება. დანადგარი არის ავტომატური და დისტანციურად იმართება. რეცხვის უახლესი ტექნოლოგია ავტობუსის ზედაპირის დაზიანებას გამორიცხავს.



ავტოპარკში, კომპანია „თეგეტა თრაქ ენდ ბასს“-ის ბაზაზე არსებულ Man Truck and Bus-ის მიერ ავტორიზირებულ სერვისცენტრში CNG გაზზე მომუშავე ავტობუსები ხუთი წლის განმავლობაში გაივლიან მიმდინარე და რეგლამენტირებულ ტექნიკურ მომსახურებას.

ბაზაზე მუდმივად იქნება დასაქმებული 616 ადამიანი. MAN-ის ავტორიზებულ სერვისცენტრში კი დამატებით 50-მდე ადამიანი დასაქმდება.

ავტობაზა 377 ავტობუსის პარკირებას ითვალისწინებს. მუნიციპალური ავტოპარკის ტენდერში გამარჯვებული მშენებელი კომპანიაა შპს „დაგი“.

**ალსანიშნავია, რომ 20 ივლისიდან 25 ივლისამდე პერიოდში ახალი ავტობუსები №24, №33, №88, №140 და №150 ხაზებზე გავა. მოგვიანებით კი, MAN-ის ავტობუსები №14, №21 და №23 მარშრუტებს დაემატება.**

**მუნიციპალური ავტობუსების განახლების პროექტი თბილისის მერიამ 2016 წლის სექტემბრიდან დაიწყო. პროექტის სრული ღირებულება 34 მილიონი ევროა, საიდანაც 27 მილიონი EBRD-ის მიერ გამოყოფილი შეღავათიანი კრედიტია, ხოლო 7 მილიონი ევრო — ევროკავშირის მიერ დაფუძნებული ფონდის E5P-ის გრანტი.**

## წინ, საქართველოვ!

# ეს ბრინჯაო სულ სხვაა



**რიოს ოლიმპიადის მეხუთეადგილოსანი, მსოფლიოს თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპის ვერცხლის პრიზიორი ზაზა ნადირაძე ნიჩბოსანთა ელიტის ღირსეული წევრი რომაა, ამ დღეებში კიდევ ერთხელ დადასტურდა ბულგარულ პროვდივში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც მცხეთელი კანოისტი 200-მეტრიან დისტანციაზე მხოლოდ ლიტველ და რუს მეტოქეებს ჩამორჩა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.**

38.342 წამი – ასეთია ჩვენი თანამემამულის შედეგი.

**კობა კობახიძე**

## ჭადრაკი

# გამარჯვებულს კოეფიციენტით ჩამორჩა



**ესპანურ ბონასკეში დამთავრდა მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ორი წარმომადგენელიც მონაწილეობდა.** 10 შესაძლებლობიდან 6.5 ქულა მოაგროვა და ქალებში მეორე ადგილი დაიკავა ანა გავაშელმა, რომელმაც პირადი რეიტინგი 36 პუნქტით გაიუმჯობესა. ქართველ საერთაშორისო ოსტატს მხოლოდ უკეთესი კოეფიციენტით აჯობა ინდონეზიელმა ირინე კარიშმა სუკანდარმა. ასევე, 6.5 ქულით, მაგრამ უარესი დამატებითი მაჩვენებლებით მესამე იყო პოლონელი ანა კანტანე. დიდოსტატ ქეთი წაწალაშვილს 5.5 ქულით ქალებში მე-8 ადგილი ერგო, ტურნირში კი 8-8 ქულით პირველი-მესამე ადგილები ტამაშ ბანუშიმ, პეტერ პროხაზკამ (ორივე-უნგრეთი) და იური კუზუბოვმა (უკრაინა) გაიყვეს.

**გივი გაგუა**

## კალათბურთი

# ვინ შეცვლის ვიქტორს?




**მაშინ, როცა საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ქვეყნის სახელის საერთაშორისო ასპარეზზე გატანისა და პოპულარიზაციისათვის კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია ღირსების ორდენის კავალერი გახდება, „ჯვაროსანთან“ ბანაკიდან სამწუხარო ინფორმაციამ გამოჟონა.**

როგორც სლოვენიურ შეკრებაზე გამგზავრების წინ გამართულ პრესკონფერენციაზე გუნდის ბერძენმა თავკაცმა ილიას ზუროსმა განაცხადა, საბოლოოდ გამოირიცხა მოახლოებულ ევრობასკეტზე ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის ვიქტორ სანიკიძის თამაში, რომელიც მუხლის ოპერაციისშემდგომი რეაბილიტაციის 10-თვიანი პერიოდის შემდგომაც ვერ ასწრებს მწყობრში ჩადგომას. ჯერჯერობით შორს არიან ოპტიმალური კონდიციებიდან ასევე ტრავმებით გატანჯული „ძველი გვარდიის“ კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი მანუჩარ მარკოიშვილი და ბექა ბურჯანაძე, თუმცა, ვიმედოვნებთ, ყველაფერი კარგად დასრულდება და ისინი მალე შეუერთდებიან პარტნიორებს.

არის შევსებაც – „ბ“ ნაკრებიდან დაწინაურების შანსი მიეცათ ბესიკ ლეჟავას, ლაშა გამყრელიძეს, ილია ლონდარიძესა და ნოდარ გოგოძეს, ხოლო ზაზა ფაჩულია ამერიკიდან აგვისტოს დასაწყისში ჩამოვა.

ბუნებრივია, გუნდის შემადგენლობის განსაზღვრა მწვრთნელთა პრეროგატივაა, ჩვენის მხრივ კი მოკრძალებით ვიკითხავთ: იქნებ ღირდეს ერთ-ერთ ტაქტიკურ ვარიანტად ორი ცენტრით თამაში განვიხილოთ, მით უმეტეს მაშინ, როცა გვაქვს ფუფუნება ფაჩულიასთან ერთად განაცხადში გიორგი შერმადინიც გვყავდეს, რომელსაც ესპანურ „ანდორაში“ შესანიშნავი სეზონი ჰქონდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ფარიკაობა

# ხვალ მოხმალავეები იწყებენ

**გერმანიის** ქალაქი ლაიფციგი ხვალიდან მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ასპარეზობის პირველ დღეს საფარიკაო ბილიკებზე მოხმალავეები გავლენ. შეჯიბრებაში მედლებისთვის საქართველოს წარმომადგენლებიც იბრძოლებენ. მთავარი მწვრთნელის – მერაბ ბაზაძის ხელმძღვანელობით მსოფლიოზე საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ მოხმალავეები – რიოს ოლიმპიადის მონაწილე, ახალგაზრდებში ევროპის სამგზის ჩემპიონი, 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი სანდრო ბაზაძე, მისი ძმა – 23-წლამდელებში ევროპის მესამე პრიზიორი ბექა ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი, საბა სულამანიძე, 2017 წლის ევროპის ჩემპიონი თეოდორა კახიანი, ლიკა ჯიჯეიშვილი, დარია ანტონოვა, რაპირისტი, 23-წლამდელებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ლუკა ღაღანიძე და დაშნით მოფარიკავე მაია გუჩმაზოვა. ამ სპორტსმენებს უკვე რამდენიმე წელიწადია, წვრთნისთვის შესანიშნავი პირობები აქვთ – ისინი თანამედროვე სტანდარტების შესაბამის დარბაზში ვარჯიშობენ, ეს დარბაზი კი ვეტერანმა მოფარიკავეებმა – მსოფლიოს ჩემპიონმა იური ოსიპოვმა, არჩილ გოგელიამ, ზურაბ ცქიტიშვილმა, მორის სახვაძემ, გურამ ჯაიანმა, გივი ცაგარელმა და ლუდვიგ ღაღანიძემ საკუთარი სახსრებით ააშენეს და 2012 წელს საქართველოს ფარიკაობის ფედერაციას საჩუქრად გადასცეს. ოლიმპიური ჩემპიონის – ნუგზარ ასათიანის სახელობის თბილისის ფარიკაობის დარბაზის ფასადზე გასულ უქმეებზე ამ სასიამოვნო ფაქტის მაუწყებელი აბრაც გაჩნდა. შაბათს სწორედ ამ დაფასთან მოიყარეს თავი ვეტერანებმა, რომლებმაც ჩვენს მუშკეტერებს მსოფლიოს ჩემპიონატისკენ გზა დაულოცეს.

**იური ოსიპოვი, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი:** ტრაბახად ნუ ჩაგვითვლით და



ვეტერანმა მოფარიკავეებმა ჩვენს სპორტსმენებს ნამდვილად კარგი საჩუქარი გავუკეთეთ. სწორედ ამ დარბაზის აშენების შემდეგ დაიწყო ქართული ფარიკაობის აღმავლობა. კარგი იქნება, ჩვენს მაგალითს სხვებიც თუ მიბაძავენ. უკვე ტიტულოვანი მუშკეტერებიც გვყავს. ყოველდღე ვესწრებოდი მათს ვარჯიშებს. შესანიშნავი სპარინგ-პარტნიორები ჰყავდათ – უკრაინელები და ბელარუსები. ევროპის პირველობის შედეგებსაც თუ გავითვალისწინებთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი მოფარიკავეების წარმატების იმედი უნდა გვქონდეს.

**ლაშა დიდია**

**სურათზე: მარცხნიდან – ლუდვიგ ღაღანიძე, გივი ცაგარელი, ზურაბ ცქიტიშვილი, იური ოსიპოვი, გურამ ჯაიანი, არჩილ გოგელია.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

## ჩოგბურთი

# ამჯერად – მხოლოდ ერთეულებში

**ერთი კვირის წინათ საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრების წევრმა ეკატერინე გორგოძემ სტამბოლის 15.000-იან საერთაშორისო ტურნირში ერთბაშად ორი მთავარი პრიზი მოიგო – ერთეულებსა და წყვილებში (მარიამ ბოლქვაძესთან ერთად), გასულ უქმეებზე თელავში კი მსგავს წარმატებამდე ცოტა დააკლდა. აქაც ქალთა 15.000-იან საერთაშორისო ტურნირში თამაშობდა. ერთეულებში ზედიზედ ხუთ მეტოქეს სძლია, მათ შორის – მეოთხედფინალში უკრაინელ ოლექსანდრა პისკუნს – 6:1, 6:2; ნახევარფინალში მესამე ნომრად განთესილი იტალიელი მარტინა კოლმეგნას მძლეველ (6:4, 6:2) თანამემამულე თათია მიქაძეს – 6:4, 6:1, გადამწყვეტ პაექრობაში კი ბელგიელი მარ-**



**გაუს ბოვი იოლად დაჯაბნა – 6:2, 6:0. ამ უკანასკნელმა მეოთხედფინალში მარიამ ბოლქვაძეს მოუგო – 6:3, 2:6, 7:5.**

წყვილებში გორგოძემ თელავშიც მარიამ ბოლქვაძესთან ერთად იასპარეზა. ნახევარფინალში თინათინ ყავლაშვილსა და თათია მიქაძეს აჯობა – 7:5, 6:4, მაგრამ გადამწყვეტი დუელი პოლინა პეხოვასა (ბელარუსი) და მარია სოლნიშკინას (რუსეთი) ტანდემთან დათმო 2:6, 6:1, 7:10 და მეორე ადგილს დასჯერდა.

ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 15.000 დოლარი) მთავარი პრიზები უცხოელებმა გაინაწილეს. ერთეულთა შეჯიბრების მეოთხედფინალში საქართველოს ნაკრების წევრმა გიორგი ცივაძემ ტომისლავ იოტოვსკისთან (მაკედონია) წააგო – 4:6, 6:2, 2:6. მაკედონიელმა მერე ზედიზედ ორი შეხვედრაც მოიგო ბოლივიელ ფედერიკო ზებალოსსა (6:3, 6:3) და ესპანელ გილერმო ოლიასთან (7:6, 6:7, 7:6), რითაც პირველი ადგილი გაინაღდა. წყვილთა ნახევარფინალში ალექსანდრე ბაკში და გიორგი ცივაძე ბოლივიელებთან – ბორის არიასსა და ფედერიკო ზებალოსთან დამარცხდნენ – 4:6, 7:6, 6:10, ფინალში ბოლივიელებმა ნერმან ფატიჩისა (ბოსნია-ჰერცეგოვინა) და ანტუნ ვადაკის (ხორვატეთი) დუეტსაც აჯობეს – 5:7, 6:3, 10:8 და მთავარი პრიზიც მათ ერგოთ.

**ლექსო ცინცაძე**

## ტაბლო

**ფეხბურთი.** **19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. ფინალი.** ინგლისი – პორტუგალია 2:1. კიტ დაუნინგის გუნდმა ხუთივე მატჩი მოიგო ბურთების შეფარდებით 10:2 და პირველად ავიდა ოლიმპზე.

**ფორმულა 1.** **სილვერსტოუნი. ბრიტანეთის გრანპრი.** 1. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, „მერსედესი“), 2. ვალტერი ბოტასი (ფინეთი, „მერსედესი“), 3. კიმი რაიკონენი (ფინეთი, „ფერარი“).

ეს ჰემილტონის მეხუთე წარმატებაა მშობლიურ ტრასაზე, აქედან მეოთხე – ზედიზედ.

**საერთო ჩათვლა:** სებასტიან ფეტელი (გერმანია, „ფერარი“) – 177, ლუის ჰემილტონი – 176, ვალტერი ბოტასი – 154 ქულა.

**უიმბლდონი.** **ვაჟები. ფინალი.** როჯერ ფედერერი – მარინ ჩილიჩი 3:0. შვეიცარიელმა ლეგენდამ მე-8 ბრიტანული ტიტული მოიგო.

**ქალები. ფინალი.** გარბინ მუგურუზა – ვინუს უილიამსი 2:0. აღსანიშნავია, რომ ესპანელ ტრიუმფატორს თანამემამულე კონჩიტა მარტინესი ავარჯიშებს, ვინც 1994 წელს თავად აჯობა ყველას სამეფო კლუბის კორტებზე

**გიორგი შოთაძე**

## ინტერნეტიდან

# დიდი მოლოდინი



**დიდ გაწამაწიაშია სერბი მეჩოგნე ნოვაკ ჯოკოვიჩი, რომელიც ცოლთან ბევრი მსჯელობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის მერე, როგორც იქნა, ლაპარაკის ნაცვლად „საქმეზეც გადავიდა“ და სულ მალე მეორე შვილის მამა გახდება. მის ცოლს მეორე შვილის გაჩენა ცოცხალი თავით არ სურდა, მაგრამ ნოვაკმა თავისი მაინც გაიტანა.**

ჩოგბურთელის მეუღლე ელენა რისტიჩი უკვე ათი წელია, რაც ნოვაკ ჯოკოვიჩის ცოლია და ათწლიანი თანაცხოვრების მანძილზე ერთი შვილი ამ წყვილს უკვე ჰყავს. ელენას მეორე შვილის გაჩენა თურმე იმიტომ არ სურდა, რომ პირველი ორსულობა ძალიან რთული ჰქონია და აბა რა გასაკვირია, რომ შეშინებულია.

**როსტომ რაჭველიშვილი**

სულიერება

# ათანასე ათონელი – ღელით ჭოლხი




**18 ივლისს** საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს ათანასე ათონელს.

საგულისხმოა, რომ ათანასე სულ რაღაც 8 წლის ყოფილა, როცა ის კონსტანტინოპოლში ჩაუყვანიათ, იქ განათლების მიღების შემდეგ აღკვეცილა მონაზვნად ათონის მთაზე. 963 წელს დაუარსებია ლავრა და 15 წელიწადი ეწეოდნენ მოღვაწეობას ამ წმინდა ადგილას ქართველი ბერები: იოანე მთაწმინდელი, ექვთიმე მთაწმინდელი და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ათანასე ათონელმა თავისი სიცოცხლის ბოლოს ლავრის მეურვეობა მიანდო ექვთიმე მთაწმინდელს და არა რომელიმე ბერძენს.

ათანასეს რჩევითვე შეკეთდა და განახლდა ვატოპედის მონასტერი, კარეას მონასტერი, იოანე მახარებლის ეკლესია და სენაკები...

გიული ლიპარტია

# საბავშვო სტუდია „ლამპრების“ მოცეკვავეები სამშობლოში დაბრუნდნენ

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ და მთავრობის წარმომადგენლებმა, თურქეთში ავარიის შედეგად დაშავებულ ანსამბლ „ლამპრების“ წევრებთან ერთად კვირას, გვიან ღამით გადმოკვეთეს საზღვარი. სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტთან ბავშვებს მშობლები და ახლობლები დახვდნენ. მოზარდები თავს კარგად გრძნობენ.**

„25 ბავშვი ჩვენთან ერთად უკვე დაბრუნდა საქართველოში. თურქეთში რჩება დაახლოებით 4 პაციენტი სხვადასხვა საავადმყოფოში. სამართალდამცველები იკვლევენ მიზეზებს. არაერთი ექსპერტიზა ჩატარდა. ჩვენთან ერთად იქ იმყოფებოდა ტრაპიზონის მერი, გუბერნატორი, სხვადასხვა დაწესებულების ხელმძღვანელი. ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზებს სამართალდამცველები იკვლევენ და ვფიქრობ, ხვალ უკვე გვექნება მომხდარის სურათი,“ – განაცხადა ზურაბ პატარაძემ.



ამ დროისთვის ავტოავარიის შედეგად დაშავებული ოთხი ადამიანი გირესუნის, გორელეს და ტრაპიზონის საავადმყოფოებში რჩება.

ავტოავარიის შემთხვევიდან რამდენიმე საათში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე მეუღლესთან და აჭარის ჯანდაცვის მინისტრთან ერთად თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში გაემგზავრა და დაშავებულები სხვადასხვა საავადმყოფოში პირადად მოინახულა. ზურაბ პატარაძე ტრაპიზონში გვიან ღამემდე დარჩა და ორგანიზება გაუწია 25 ბავშვის სამშობლოში დაბრუნებას.

ავტოსაგზაო შემთხვევა კვირას, 16 ივლისს, ტრაპიზონიდან 120 კილომეტრში, გირესუნის მახლობლად მოხდა. გასტროლებზე ბულგარეთში მიმავალი ავტობუსი, რომელშიც 38 ადამიანი იმყოფებოდა, გზიდან გადავიდა და ამობრუნდა.

გამოსათხოვარი

# რუფა ლონდაძე



საჩხერელ ომის ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი პიროვნება და მოქალაქე, ქალბატონი **რუფა ბერზინა-ლონდაძისა**.

ეროვნებით ლატვიელ რუფას სამამულო ომმა სტალინგრადში მოუსწრო სტუდენტობისას. მანაც სასწავლებელი დათმო, მოკლე სამედიცინო კურსები გაიარა და სანიტარიული მატარებლის ბრიგადაში ჩაირიცხა. უფროსი სერჟანტის წოდება რომ მიანიჭეს, მაშინ გაიცნო მომავალი მეუღლე, სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი, საჩხერელი გიორგი ლონდაძე და მას დაუკავშირა ცხოვრების ბედი.

გიორგიმ და რუფამ ომის შემდგომ საჩხერეში ოჯახშექმნილებმა განაგრძეს საზოგადოებრივად საკეთილდღეო საქმიანობა. ქალბატონი რუფა ათეული წლის განმავლობაში ემსახურებოდა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდას, საჩხერის სკოლებში ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას.

ქალბატონ რუფას ჰქონდა კანონიერი უფლება, ეამაყა თავისი შვილებითა და შვილიშვილებით.

მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად შეარყია შვილის, ცნობილი არქიტექტორისა და ეროვნული მოძრაობის აქტიური მოღვაწის რუსლანის უდროოდ დაღუპვამ. განსაკუთრებით იმოქმედა შვილიშვილის, უკრაინის ეროვნული გმირის, ჟურნალისტ გიორგი ლონღაძის ჯერაც ბურუსით მოცულმა მკვლელობამ.

ქალბატონი რუფას მოღვაწეობა და ღვაწლი სავსებით საკმარისია მისი ხსოვნის უკვდავყოფისათვის.

**საჩხერის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა
მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო**



ნინო ბეჟიტაშვილი, ირაკლი კაკულია ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოხატავენ უახლოესი ადამიანის, ჭეშმარიტი მამულიშვილის, ღირსეული პიროვნების, კეთილშობილებით, სათნოებით, სიკეთით, გულისხმიერებითა და პროფესიონალიზმით აღსავსე პიროვნების

**დავით
გოგორიშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის მეუღლეს ნანი გაფრინდაშვილს, შვილს დავით გოგორიშვილს, რძალს თამთა კაკულიას და შვილიშვილებს.

სამარადისო ხსოვნა მის ნათელ სახელსა და სულს, ამინ!

# 148 000 ლარის ოქრო მალულად...

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე, აზერბაიჯანის მოქალაქე იქნა დაკავებული.**



გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული პირი, მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანით, საბაჟო-გამშვები პუნქტი „წითელი ხიდის“ გავლით, საბაჟო კონტროლისგან მალულად, საქართველოს ტერიტორიიდან საბაჟო წესის დარღვევით, დეკლარირებას დაქვემდებარებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობების გადატანას ცდილობდა. ავტომანქანაში მოწყობილი სამალავებიდან ამოღებულ იქნა ჯამში 2,5 კგ ოქროს ნაკეთობები, რომლის საბაჟო ღირებულება 148 000 ლარს შეადგენს.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ვადით 5-დან 7 წლამდე ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, მიმდინარე წელს ამოღებულია 13,5 კილოგრამი ოქროს ნაწარმი, რომლის საერთო ღირებულება 910 000 ლარს შეადგენს.

# თბილისში მადრიდის ინტერპოლის მიერ ძებნილი პირი დააკავეს

**თბილისის ინტერპოლისა და „თბილისის აეროპორტის“ თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ისრაელიდან საქართველოში შემოსვლისას, მადრიდის ინტერპოლის მიერ 2007 წლიდან ძებნილი, ისრაელის მოქალაქე, 1974 წელს დაბადებული დ.შ. დააკავეს. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.**

დაკავებულს ბრალი ედება ესპანეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაული, რაც ვალუტის და საგადასახადო შტამპების გაყალბებას გულისხმობს.




ამჟამად დაკავებულის მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები.

# რუსეთის მოქალაქის მკვლელობისთვის კიდევ ერთი ეჭვმიტანილი დააკავეს

**ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა რუსეთის მოქალაქეზე თავდასხმაში კიდევ ერთი ეჭვმიტანილი დააკავეს.**

პირველი თავდამსხმელი რამდენიმე დღის წინათ დააპატიმრეს.

გუდაუთის ე.წ. პროკურატურამ მოსკოველი ტურისტის მკვლელობისა და მისი ოჯახის წევრების გატაცებისთვის ე.წ. სისხლის სამართლის საქმე აღძრა. რუსეთის მოქალაქე ანდრეი კაბანოვი დანით მოკლეს. გარდაცვლილს თან ახლდა ცოლი და ორი შვილი და მეორე ოჯახის წევრები. ყველა მათგანი თავდამსხმელებმა გაიტაცეს. მოგვიანებით ისინი ე.წ. სამართალდამცველებმა გაათავისუფლეს.

# თორნიკე კაჭარავა სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა

**პრეზიდენტის შვილის მეგობარი თორნიკე კაჭარავა სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 15 000-ლარიანი გირაოთი შეეცვალა.**

თორნიკე კაჭარავას წინასწარი პატიმრობა 17 მაისს მიესაჯა. მაშინაც დაცვის მხარე 20 000-ლარიანი გირაოს შეფარდებას ითხოვდა.

თორნიკე კაჭარავას განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნაკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვას ედავებიან. ის 15 მაისს დააკავეს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მას 8-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრება



# კიდევ ერთი დაუვიწყარი თეატრალური სეზონი

## ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრი 48-ე სეზონს ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერით“ დახურავს

**21 ივლისს ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი — ირინე ლომინაძე) 48-ე თეატრალურ სეზონს დახურავს. ამ წარმატებული, ნაყოფიერი სეზონის ბოლო აკორდად იქცევა ზაქარია ფალიაშვილის შედევრი — ოპერა „აბესალომ და ეთერი“ (დამდგმელი დირიჟორი — რევაზ ჯავახიშვილი, დამდგმელი რეჟისორი — მაია გაჩეჩილაძე, დამდგმელი მხატვარი — თემურ არსენიძე, დამდგმელი ქორეოგრაფები — ვახტანგ უშვერიძე და კოტე დოლაბერიძე, კოსტიუმების მხატვარი — გიორგი ალექსი-მესხიშვილი).**

სეზონის დახურვაზე „აბესალომ და ეთერს“ შეასრულებენ ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტები — კალისტრატე ხარჩილავა (აბიო მეფე), ნუცა ზაქაიძე (დედოფალი ნათელა), ნაირა კიკოლიაშვილი (მარიხვარსკვლავი), ნათია სტეფანიშვილი (ეთერი), ბაკურ კვირიკაშვილი (მურმანი), ინგა ფუტკარაძე (ნაანა), ბადრი სახამბერიძე (თანდარუხი), რამაზ კუბლაშვილი (სტუმარი), ემილ ჩარგაზია (მსახურთუხუცესი), თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი — ნათია გოგუაძე), ორკესტრი, ქორეოგრაფიული დასი, ქუთაისის პანტომიმის თეატრის დასი (ხელმძღვანელი — ბაქარ ბაქრაძე) და ბოლოს, სპექტაკლის მთავარი სიურპრიზი — აბესალომის როლს შეასრულებს ქუთაისის თეატრში დაფრთიანებული ჩინებული ახალგაზრდა ტენორი, ამჟამად მოსკოვის დიდი თეატრის ახალგაზრდული დასის სოლისტი გიორგი სტურუა. სპექტაკლს თეატრის მთავარი დირიჟორი რევაზ ჯავახიშვილი წარუძღვება.

48-ე თეატრალურ სეზონში ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა არაერთ სპექტაკლსა და კონცერტზე მიიწვია აუდიტორია, ათეულობით მუსიკალურ ღონისძიებასაც უმასპინძლა. სარეპერტუარო სპექტაკლებიდან სრულდებოდა რუჯერო ლეონკავალოს „ჯამბაზები“, პიეტრო მასკანის „სოფლის ღირსება“, ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“, ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“, „პირველი სიყვარული“, რევაზ ლაღიძის „ლელა“, ვანო გოკიელის „წითელქუდა“, წარმატებით ჩატარდა კონცერტები თეატრის სოლისტების, გუნდისა და ორკესტრის მონაწილეობით, იყვნენ გასტროლიორებიც...



და მაინც, ამ ფონზეც, ცხადია, უმთავრესი იყო პრემიერები: 48-ე თეატრალური სეზონი 4 ოქტომბერს პრემიერით გაიხსნა — მაყურებლის, მსმენელის სამსჯავროზე წარდგენილი იყო საოპერო მუსიკის მარგალიტი — ვერდის „ტრავიატა“ (სპექტაკლზე იმუშავა დამდგმელმა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: დირიჟორი — რევაზ ჯავახიშვილი, რეჟისორი — მაია გაჩეჩილაძე, მხატვარი — თემურ არსენიძე, ქორეოგრაფი — ვახტანგ უშვერიძე); საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებულმა ამ სპექტაკლმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. 5 მაისს კი თეატრმა საპრემიეროდ წარმოადგინა სერგეი რახმანინოვის ერთმოქმედებიანი ოპერა „ალეკო“ (დამდგმელი დირიჟორი — ლევან ჯაგაევი, რეჟისორი — მაია გაჩეჩილაძე, მხატვარი — თემურ არსენიძე, ქორეოგრაფი — ვახტანგ უშვერიძე; დადგმა თეატრმა საკუთარი შემოსავლების ფინანსური რესურსით განახორციელა). ცხადია, მთავარი ის გახლავთ, რომ აღნიშნული ორივე ოპერა დამკვიდრდა თეატრის რეპერტუარში და გაამდიდრა, გაამრავალფეროვნა ის.




მომავალ 49-ე თეატრალურ სეზონშიც მრავალი სიურპრიზი ელოდება ქუთაისის ოპერის თეატრის მსმენელებს. ამჯერად მხოლოდ ერთ პრემიერას დავაანონსებთ — დეკემბრის დასაწყისში თეატრი მიგიწვევთ ჯუზეპე ვერდის კიდევ ერთი შედევრის — ოპერა „რიგოლეტოს“ პრემიერაზე, რომელიც უთუოდ მნიშვნელოვან ეტაპად იქცევა თეატრის განვითარების გზაზე, ამის ყველა წინაპირობა არსებობს.

**ზურაბ ოიკაშვილი.**

# საქართველოში საბავშვო ევროვიზიის კონკურსი ნოემბრის ბოლოს გაიმართება

**CHECK IN GEORGIA-ს ფარგლებში საბავშვო ევროვიზიის საქართველოში ჩატარების შესახებ ისაუბრა საბავშვო ევროვიზიის პროექტის ხელმძღვანელმა სერგი გვარჯალაძემ გუშინ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე, სადაც მედიის წარმომადგენლები Check in Georgia-ს მიმდინარეობას და მის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას გაეცნენ.**

როგორც სერგი გვარჯალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, საბავშვო ევროვიზიის კონკურსი 2017 წლის ნოემბრის ბოლოს ჩატარდება და მისი ტრანსლირება მსოფლიოს ოცამდე ქვეყანაში მოხდება.



პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ევროპის მაუწყებელთა კავშირისგან მიიღო შეთავაზება 2017 წლის საბავშვო ევროფესტივალის საქართველოში ჩატარების შესახებ, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ქვეყნის ცნობადობის ასამაღლებლად, პოპულარიზაციისა და ტურისტული პოტენციალის გასაზრდელად.

ეს იქნება საბავშვო ევროვიზიის რიგით მე-15 კონკურსი, სადაც საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი მეთერთმეტედ წარადგენს მონაწილეს საბავშვო ევროფესტივალზე.

საბავშვო ევროფესტივალის ტრანსლირება მსოფლიოს ოცამდე ქვეყანაში ხდება და მას თვალყურს დაახლოებით 20 მილიონი ტელემაყურებელი ადევნებს, ამასთან, კონკურსს გააშუქებენ ჟურნალისტები მსოფლიოს 20-მდე ქვეყნიდან. ეს კიდევ ერთი შესაძლებლობაა, რომ ჩვენი ქვეყანა, მისი კულტურა და ტურისტული პოტენციალი გავაცნოთ საერთაშორისო საზოგადოებას.

# ცხელი ამინდი კიდევ ერთი დღე შენარჩუნდება

**გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, 18 ივლისს საქართველოში მოსალოდნელია ცხელი და უმეტესად უნალექო ამინდი. ჰაერის ტემპერატურა +32, +37 გრადუსი იქნება.**

19-23 ივლისს საქართველოს ცალკეულ რაიონში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, აღმოსავლეთ საქართველოში ზოგან შესაძლებელია სეტყვა. ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში დაიკლებს და +27, +32 გრადუსი იქნება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში შენარჩუნდება მაღალი ტემპერატურული ფონი.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

**ავტორთა საყურადღებოდ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.3941; ევრო - 2.7424;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0791;
100 რუბლი - 3.9485; თურქული ლირა - 0.6656;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4073;
1000 სომხური დრამი - 5.0033.

**ამინდი 18 ივლისისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +17 | დღე +37 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +12, | დღე +35 |

დასავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +20, | დღე +38 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +17 | დღე +38 |
| თბილისი: | ღამე +21, | დღე +36 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge